პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

№ 220 (11224)
სამშაბათი
23
სექტემბერი
1958 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## დღეს ნომერშია:

**პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად.** — გურჯაანელთა მოწოდების პასუხად. მეფოლადეთა წვლილი. გეგმების შესრულება. ახალი მოსავლის შაქარი. ზეგეგმითი ჩაისათვის. მეტი კონსერვი სამშობლოს (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში. **ნ. ს. ხრუშჩოვი.** — ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ (მე-2 და მე-3 გვერდი).

ხაკდესის ცნობა (მე-3 გვერდი).

„თვითმარქვია ჟანდარმი“ — ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის [illegible] (მე-3 გვერდი).

შეწყდეს ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა ჩინეთის საშინაო საქმეებში — უცხოეთის გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის წერილზე ეიზენჰაუერისადმი (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## ადგილობრივი პრესის უმნიშვნელოვანესი ამოცანა

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში და ახალმშენებლობებზე, საკოლმეურნეო მინდვრებზა და პლანტაციებში დიდი შრომითი აღმავლობაა. მუშები, კოლმეურნეები ფართოდ გამოეხმაურნენ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივის და გურჯაანის რაიონის მშრომელთა ინიციატივას — გაჩაღდეს პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება — და ახალ წარმატებებს აღწევენ შრომაში. მშრომელთა ამ უდიდესი აქტივობის ვითარებაში სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე შრომის მოწინავე მეთოდების პროპაგანდის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების ერთ-ერთ უძლიერეს საშუალებას წარმოადგენს პრესა, რადგან დიდია გაზეთებში, ჟურნალებში გამოქვეყნებული მასალების ზემოქმედების ძალა.

ჩვენი რესპუბლიკის მრავალი გაზეთი საქმიანად ასახავს მოწინავეთა წარმატებებს, მათს მიღწევებს, მუშაობის მეთოდებს. ამ მხრივ ინიციატივას იჩენენ და მუშაობის კარგ მაგალითებს იძლევიან გაზეთების „საბჭოთა აჭარისა“ და „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქციები, რომლებიც პერიოდულად ბეჭდავენ შემცველ გვერდებს აჭარისა და აფხაზეთის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაზე, საწარმოების, კოლმეურნეობების, ცალკეული მოწინავე ადამიანების წარმატებებზე, მუშაობის მოწინავე მეჩაიეს კომკავშირელ ცისანა ქანთარიას მუშაობის შესახებ. მიმდინარე წლის სამ თვეში მან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 3 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო სეზონის ბოლომდე გადწყვეტილი აქვს კიდევ მოკრიფოს 2 ტონა. წერილში ლაპარაკია ამ მოწინავე მეჩაიეს მუშაობის გამოცდილებაზე, პლანტაციის მოვლისა და ჩაის ფოთლის მოყვანის მის მეთოდებზე. სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების ამსახველ კარგ, საქმიან წერილებს აქვეყნებს აგრეთვე ზუგდიდის — „მებრძოლი“, გურჯაანის — „საკოლმეურნეო შრომა“, გორის „სოციალისტური სოფელი“, წითელწყაროს — „ახალი შირაქი“ და ზოგიერთი სხვა რაიონული გაზეთი.

მაგრამ ყველა გაზეთი როდი მუშაობს ასე. მაგალითად, ზესტაფონისა და მაიაკოვსკის რაიონული გაზეთები ნაკლებად ზრუნავენ მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდისათვის. ეს იმ დროს, როცა დასახელებულ რაიონებში არიან კოლმეურნეობები და კოლმეურნეები, რომლებიც დაბალ მოსავალს იღებენ. თქმა არ უნდა, მათთვის საინტერესო იქნებოდა გაზეთის საშუალებით გასცნობოდნენ მოწინავეთა მაჩვენებლებს, მათი მუშაობის მეთოდებს, გამოეყენებინათ ისინი თავიანთ საქმიანობაში. მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდის საქმეში მთელი რიგი ნაკლოვანებები აქვთ აგრეთვე ახალციხის, ასპინძის, თერჯოლის, ყაზბეგის, ხაშურის, კასპის და ზოგიერთ სხვა რაიონულ გაზეთებს. საჭიროა ამ რაიონების გაზეთების რედაქციებმა მკვეთრად გააუმჯობესონ მუშაობა, გაზეთების ფურცლებზე ფართო ადგილი დაუთმონ მოწინავეთა გამოცდილების ამსახველ მასალებს, იზრუნონ ამ გამოცდილების გავრცელებისა და დანერგვისათვის.

გაზეთებში გამოქვეყნებულ მოწინავე გამოცდილების ამსახველ მასალებში ყურადღება ძირითადად იმაზე უნდა გავამახვილოთ, თუ ნოვატორმა როგორ მიაღწია წარმატებებს, რა მეთოდით. გაზეთის საშუალებით მოწინავეთა მიღწევებზე საუბარი მხოლოდ მაშინ მოგვიტანს სარგებლობას, როცა მასში ნაჩვენები იქნება ცოცხალი გამოცდილება, წარმატებების მიღწევის გზები. მასალები ისეთი უნდა იყოს, რომ მისი წაკითხვის შემდეგ ადამიანმა მიიღოს ნათელი წარმოდგენა, თუ როგორ გამოიყენოს თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ნოვატორის გამოცდილება.

პარტია და მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქიმიური მრეწველობის შემდგომ განვითარებას და სწორედ ამიტომ რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრების თბილისის, ქუთაისის, რუსთავის და სხვა გაზეთებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ ქიმიური მრეწველობის საკითხებს, უჩვენონ, თუ რა დიდი შესაძლებლობაა ჩვენში ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებისათვის, როგორ იბრძვიან მშრომელები პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, როგორ, რა მეთოდებით აღწევენ წარმატებებს სახალხო მეურნეობის ამ უბანზე.

ახლა საქართველოს სს რესპუბლიკის ფაბრიკებში, ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე არნახული შრომითი აღმავლობაა. მუშები, კოლმეურნეები ფართოდ არიან ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში, დგანან პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე და ახალ წარმატებებს აღწევენ შრომაში. და სწორედ ახლა ადგილობრივმა გაზეთებმა თავიანთ ფურცლებზე ვრცლად და ყოველმხრივ უნდა განუმარტონ მშრომელებს პარტიის მომავალი XXI ყრილობის უდიდესი მნიშვნელობა, თავიანთ ფურცლებზე ვრცლად ასახონ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული გრანდიოზული წარმატებანი.

გაზეთების მნიშვნელოვანი ამოცანაა ფართოდ გააშუქონ საბჭოთა ხალხის მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, საქმის ცოდნით მოუთხრონ მოწინავეთა გამოცდილებაზე. მოწინავე გამოცდილების ფართოდ გაშუქებისათვის რედაქციებმა გაზეთების გარშემო უნდა შემოიკრიბონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები, მოწინავე ადამიანები, ამ გამოცდილების შემქმნელნი. მოწინავე გამოცდილების ფართო და ყოველმხრივი პროპაგანდა გაზეთების ხანმოკლე, სეზონური კამპანია როდია. ჩვენი რესპუბლიკის საოლქო, საქალაქო, რაიონული, მრავალტირაჟიანი გაზეთები მოწოდებული არიან ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, გააშუქონ ისინი საქმის ცოდნით, სისტემატურად.

## ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება 1958 წლის 21 სექტემბრისათვის

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა 1958 წლის 21 სექტემბრისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში შესრულებულია 102,6 პროცენტით. დამზადებულია 27,0 ათასი ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე გასული წლის ამავე თარიღისათვის.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და საქართველოს ცალკეულ რაიონებში გეგმის შესრულება შეადგენს პროცენტობით:

| | |
|---|---|
| აფხაზეთის ასსრ | 105,7 |
| აჭარის ასსრ | 98,8 |
| მახარაძის რაიონი | 102,3 |
| ჩოხატაურის | 99,0 |
| ლანჩხუთის | 96,9 |
| სამტრედიის | 101,7 |
| წულუკიძის | 98,7 |
| ქუთაისის | 112,4 |
| წყალტუბოს | 120,3 |
| ტყიბულის | 137,4 |
| ცხაკაიას | 94,3 |
| აბაშის | 99,5 |
| გეგეჭკორის | 97,3 |
| ზუგდიდის | 104,6 |
| წალენჯიხის რაიონი | 106,1 |
| ჩხოროწყუს | 102,7 |
| ხობის | 104,1 |
| თერჯოლის | 120,9 |
| ზესტაფონის | 66,7 |
| ჭიათურის | 172,5 |
| ვანის | 130,0 |

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.

# პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად

★ ★

## მეფოლადეთა წვლილი

**რუსთავი.** (საკ. კორ.). ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების უზრუნველსაყოფად აყენებენ ახალ წინადადებებს, აკლენენ წარმოების გამოუყენებელ რეზერვებს.

განუწყვეტლივ გუგუნებენ მარტენის ღუმელები. გასული თვის დავალება მეფოლადეებმა წარმატებით შეასრულეს და ამით საშუალება მისცეს ქარხნის მთელ კოლექტივს სრული ციკლით გაენაღდებინა საქონლო პროდუქციის გამოშვების თვიური გეგმა. როცა ჩარხმშენებელთა ინიციატივას განიხილავდნენ, საამქროს კოლექტივმა ერთხმად გადაწყვიტა სასწრაფოდ დაფაროს დანაკლისი, მიაღწიოს შეუფერხებელ, რიტმულ მუშაობას. მეფოლადეთა სიტყვა მტკიცე აღმოჩნდა. უკანასკნელ დღეებში მარტენის საამქროს კოლექტივი წარმატებით ართმევს თავს ფოლადის გამოდნობის საქმეს. 12 და 13 სექტემბერს მეფოლადეებმა 22-22 დნობა განახორციელეს და ათობით ტონა ფოლადი გამოუშვეს გეგმის გადამეტებით. ბევრი მეფოლადე დადგა პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე. ა. ფანცულაიამ, რომელიც ამას წინათ ლენინის ორდენით იქნა დაჯილდოებული, იკისრა ყრილობის გახსნის დღემდე გეგმის ზევით გამოადნოს 1.600 ტონა ფოლადი და ამით ღირსეული საჩუქარი მოუმზადოს მშობლიური პარტიის XXI ყრილობას. ბეჯითი და მუყაითი შრომით დიდი წვლილი შეაქვთ ქარხნის საწარმოო საქმიანობაში მეფოლადეებს გ. ბერეკაშვილს, ო. ბექაიას, ბ. ივანცოვს და სხვებს.

## გეგმების შესრულება

**ქობულეთის** რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 20 სექტემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია და სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 11.693 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი. საშუალო მოსავალი შეადგენს 4.253 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს ჰექტარზე.

ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

* * *

**დმანისის** რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 17 სექტემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ცხრა თვის გეგმა: ხორცისა — 102,5, რძისა 100,2, კვერცხისა — 100,2 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვა გრძელდება. (საქდესი).

* * *

**ორჯონიკიძის** რაიონმა 17 სექტემბრისათვის 105 პროცენტით შეასრულა ბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა.

პარკის დამზადება გრძელდება. (საქდესი).

## ახალი მოსავლის შაქარი

**ქარელი.** (საკ. კორ.). საქართველოს შაქრის კომბინატმა 20 სექტემბერს დაიწყო ახალი მოსავლის შაქრის ჭარხლის გადამუშავება. 22 სექტემბრისათვის უკვე გადაამუშავა 18.067 ცენტნერი ჭარხალი. გამოუშვა 1.790 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ფხვნილი შაქარი. ქარხნის ყველა დანადგარი და მოწყობილობა შეუფერხებლად მუშაობს.

ამჟამად შაქრის კომბინატის მიმღებ პუნქტში მიღებულია გადასამუშავებლად 38 ათასი ცენტნერი ჭარხალი. ამასთანავე კომბინატმა კრასნოდარის მხარიდან გადასამუშავებლად მიიღო 31.500 ცენტნერი ჭარხალი.

ქარხნის კოლექტივი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის და ვალდებულება იკისრა სექტემბერში გეგმის გადამეტებით გამოუშვას 12 ათასი ცენტნერი მაღალხარისხოვანი შაქარი.

## მეტი კონსერვი სამშობლოს

**გორის** საკონსერვო ქარხნის პროდუქცია ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში. ქარხანა დიდი რაოდენობით უშვებს ხილის კონსერვებს, მურაბას, ტომატს და სხვ. აქ ყოველდღიურად ათეულ ტონობით ხილი მოდის დასაკონსერვებლად. ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, სპეციალისტები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მშრომელებს მიაწოდონ მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

დიდი შრომითი აღმავლობაა ახლა ქარხანაში. მრავალი მუშა დგას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის და ოქტომბრის რევოლუციის 41-ე წლისთავის აღსანიშნავ შრომითის ვახტზე და წარმატებით იბრძვის ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

ქარხანაში განსაკუთრებით დაწინაურდა მზა პროდუქციის საამქროს მუშა ნ. კაიშაური, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 150-160 პროცენტით ანაღდებს.

* * *

**სურათზე:** მოწინავე მუშა ნ. კაიშაური.
ფოტო შ. კუკულავისი.

## გურჯაანელთა მოწოდების პასუხად

**სურათზე:** პარტიის კასპის რაიკომის მდივანი დ. მაღლაშვილი სოფელ კასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეო ბის წევრებს აცნობს გურჯაანელთა მოწოდებას.
ფოტო ვ. მჭედლიშვილისა.

## ვამრავლოთ საკოლმეურნეო დოვლათი

**ხობი.** („კომუნისტის“ კორ.). ყველგან კოლმეურნეობებში, მეცხოველეობის ფერმებში, საბჭოთა მეურნეობებში გაისმის აგიტატორთა ცოცხალი ხმა. ისინი სოფლის მეურნეობის მშრომელებს აცნობენ გურჯაანის რაიონის მშრომელთა მოწოდებას.

სოფელ ნოჯიხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შეკრებილთ გურჯაანელთა მიმართვაზე ესაუბრა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. ბუკია.

— საყოველთაო ყურადღებას იმსახურებს, — თქვა საუბრის შემდეგ ამხ. ბუკიამ,—გურჯაანის რაიონის მშრომელთა პატრიოტული თაოსნობა. წელს ჩვენს კოლმეურნეობაში ჩაისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალია. კოლმეურნეობამ ფოთლის კრეფის წლიური გეგმა უკვე დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ჩვენი პირობაა 1 ოქტომბრამდე გეგმის ზევით მოვკრიფოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ 15 ტონა ჩაის ფოთოლი.

XXI ყრილობის აღსანიშნავად ახალი ვალდებულებები იკისრეს სოფელ საჯიჯაოს, ხეთას, ხიბულის და სხვა კოლმეურნეობებმა, ხეთას, ქვალონის საბჭოთა მეურნეობებმა.

რაიონის მშრომელთა მთლიანი ვალდებულებაა სეზონის დამთავრებამდე წლიური გეგმის ზევით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 150 ტონა ჩაის ფოთოლი, დაფნა გააშენონ 9 ჰექტარზე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 7 ჰექტარისა.

## სიტყვის ხალხი

**კასპი.** (სპეც. კორ.). — გეგმით გათვალისწინებული 20 ათასი ტონის ნაცვლად ჩავდებთ 30 ათას ტონა სილოსს, საშემოდგომო ხორბალს დავთესავთ 1.700 ჰექტარზე. თესვას დავამთავრებთ ვადაზე ხუთი დღით ადრე. 1.590 ტონის ნაცვლად მოვიყვანთ 1.800 ტონა ბოსტნეულს, 600 ჰექტარზე გავაშენებთ ხეხილის ახალ ბაღებსა და ვენახებს, უდანაკარგოდ ავიღებთ მოსავალს, მოვიყვანთ შაქრის ჭარხლის, სიმინდის, ყურძნის, ხილის უხვ მოსავალს. 11 თვეში შევასრულებთ წველადობის წლიურ გეგმას. ასეთი პირობა დადეს კასპის რაიონის მშრომელებმა, როცა ჩვენი პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ გაიგეს.

როგორ სრულდება ნაკისრი ვალდებულებანი?

ამ კითხვაზე დაწვრილებით მოგვითხრეს კასპის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. ბასიაშვილმა, პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. დ. მაღლაშვილმა.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეჯიბრება მთელი ძალით გაჩაღდა, — ამბობენ ისინი. — მოპოვებულია პირველი წარმატებანი. 22 სექტემბრისათვის კოლმეურნეობებმა ჩადეს 21 ათასი ტონა სილოსი. დასილოსების ტემპი რაიონში ასეთი მაღალი არასოდეს არ ყოფილა. თუ წინათ დღეში 400-500 ტონა სილოსს დებდნენ, ახლა 800-900 ტონასაც არ სჯერდებიან.

რაიონი დაწინაურდა საშემოდგომო ხვნა-თესვაში. დაბა კასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. დალაქიშვილი) შესანიშნავად იყენებენ საკუთარ ტექნიკას. ტრაქტორისტები ს. ქეთიშვილი და ნ. ბედოშვილი დღეში საშუალოდ 30-35 ჰექტარს თესავენ. თესვა სწრაფად, აგროწესების დაცვით მიმდინარეობს აგრეთვე ნოვლეს, ჩობალაურის, ნოსტეს კოლმეურნეობებში.

კოლმეურნეობები ჰექტარზე საშუალოდ 500-600 ცენტნერ შაქრის ჭარხალს იღებენ. მაღალ რთველიც გაჩაღდება კასპის რაიონში. რაიონის ღვინის ოთხი ქარხანა კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობიდან გეგმის ზევით 500 ტონა ყურძენს მიიღებს.

ბაღებშიც უხვი მოსავალი აქვთ კასპელებს. ასობით ცენტნერ ვაშლს გაგზავნიან ისინი ყრილობის წინადღეებში მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და სხვა ქალაქებში. ვაზი და ხეხილი კასპის რაიონის მშრომელთა სიმდიდრეა. ამიტომაც უთმობენ მას დიდ ფართობს. ბაღ-ვენახების გასაშენებლად მზად არის 600 ჰექტარი პლანტაჟი. მარტო ოკამის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ა. თავაძე) 200 ჰექტარი ფართობი დაატლანტაჟა და ნერგიც მზად აქვთ. ახალი ბაღ-ვენახები 100 ჰექტარზე გაშენდება.

შრომისმოყვარე ადამიანებში ახალი აღფრთოვანება გამოიწვია გურჯაანელთა პატრიოტულმა მოწოდებამ. კასპელებმა უფრო მაღლა ასწიეს შეჯიბრების დროშა. ძლიერდება სამეშაოთა ტემპი.

## ზეგეგმითი ჩაისათვის

იქ, სადაც სვანეთის ხალ კლდეებს გამოქცეული მდინარე ენგური ოდნავ გაივაკებს და წუთით სულს მოითქვამს, გადაშლილია წალენჯიხის რაიონის ერთ-ერთი ლამაზი სოფელი ლია. იგი ძველთაგანვე იყო ცნობილი თავისი შესანიშნავი ბუნებრივი პირობებითა და შრომისმოყვარე ადამიანებით. ამ სოფლის ბევრი მკვიდრი აქტიურად იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. ამჟამად აქაური მშრომელები ხარობენ ბედნიერი და საამური ცხოვრებით, სოციალისტური სოფლის მთელი შინაარსით. რა არა აქვთ ლიელებს! საშუალო, შვიდწლიანი და დაწყებითი სკოლები, საავადმყოფო, ბიბლიოთეკა, კლუბი, სოფლის კოოპერატივი რამდენიმე სავაჭრო წერტილით, ფოსტა, აფთიაქი, ზოოვეტპუნქტი და სხვ.

ამ რამდენიმე წლის წინათ სოფელში სამი კოლმეურნეობა იყო. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის განხორციელებულმა ღონისძიებებმა ლიელი კოლმეურნეები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საჭირო იყო კოლმეურნეობების გამსხვილება. ასეც მოიქცნენ. აქ სამი კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა ერთი კოლმეურნეობა. მას სათავეში უდგას ენერგიული და გამოცდილი მუშაკი ვარლამ კვარაცხელია. რომელიც კოლმეურნეთა მთელ ძალებს წარმართავს საკოლმეურნეო დოვლათის სიუხვის შესაქმნელად.

მიმდინარე წელი ორმხრივ საგამოცდოა გამსხვილებული კოლმეურნეობათვის. ნერგ-ერთი, ეს გამსხვილების პირველი წელია და, მეორეც, პირველად საკუთარი ტექნიკით ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. თუ გასული რვა თვის შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, კოლმეურნეობა წარმატებით წყვეტს მის წინაშე მდგომ ამოცანებს. წელს აქ გეგმით 380 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი უნდა მოეკრიფათ. ეს დავალება 20 აგვისტოსათვის გაანაღდეს და ამჟამად იმისათვის იბრძვიან, რომ გეგმის გადამეტებით 50 ტონა ჩაი მოკრიფონ.

კარგი პირი უჩანს სიმინდის ყანებსაც, რომლის ფართობი 290 ჰექტარს შეადგენს. წარმატებით სრულდება მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდის გეგმები. გაცხოველებული მუშაობაა პირუტყვისათვის მცენარე საკვები ბაზის შესაქმნელად.

კოლმეურნეობაში მემინდვრეობის 15 ბრიგადაა, რომელთა შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. ჩაის კრეფაში პირველობას არ თმობს № 2 ბრიგადა, რომელმაც ჯერ კიდევ 20 ივლისისათვის შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა და მას შემდეგ მუშაობს გადიდებული ვალდებულების ანგარიშში. ბრიგადის მოწინავე მკრეფავებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მოწინავე კოლმეურნის გერა სამუშიას ოჯახი.

— ეს ოჯახი მთელ კოლმეურნეობაშია ცნობილი, — ამბობს სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარე ვ. კვარაცხელია. — გერა და მისი მეუღლე ლუბა არტელის დაარსების დღიდანვე მუშაობენ კოლმეურნეობაში, ამ ოჯახს მოსავლელად მიჩენილი აქვს თითო ჰექტარი ჩაისა და სიმინდის ფართობი. ჩაის პლანტაციაში ყველა აგროღონისძიების თანმიმდევრულად გატარებით ცოლ-ქმარი ყოველწლიურად ზრდის საშუალო მოსავლიანობას. მაგალითად, თუ 1956 წელს მოკრიფეს 7.300 კილოგრამი, შარშან ეს მაჩვენებელი 8.200 კილოგრამამდე აიყვანეს, ხოლო მიმდინარე წლისათვის ოჯახი იბრძვის ჰექტარზე 9.000 კილოგრამი ჩაის ფოთლისათვის.

თავდადებული შრომა უხვად უნაზღაურდებათ სამუშაოებს. შარშან კოლმეურნეობიდან მარტო ფულად 32.825 მანეთი მიიღეს. გერას ოჯახმა კოლმეურნეობიდან მიღებული შემოსავლით პატარა ოდასახლი ორსართულიანი დიდი სახლით შეცვალა. ხარობს გერა და მისი ოჯახი საკუთარი ნაამაგარით!

ჩაის კრეფაში წარმატებებს აღწევენ აგრეთვე ის ბრიგადები, რომლებსაც ილია კვარაცხელია, ნიკოლოზ, ვალერიან, პროფი და ბოჩია ხამუშიები ხელმძღვანელობენ. ვინ უფრო მეტ ჩაის მოკრეფს გეგმის ზევით — ამ ლოზუნგით იბრძვიან მოწინავე მეჩაიეები სულიკო სამუშია, მარგო მებონია, ცურუ ფიფია, შუშანა კუხალეიშვილი და სხვები. გადიდებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის ენერგიულად შრომობენ მესიმინდეებიც.

დიდი შრომითი აღმავლობაა ახლა სოფელ ლიაში. კოლმეურნეები თავდადებულად მუშაობენ. პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში უდგანან სოფლის კომუნისტები.

**ბ. ნამყეგია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში

# ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ

*(წინადადებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ძვემოთ გამოქვეყნებულ გარათში, მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა)*

ამჟამად საშუალო და უმაღლეს სკოლაში ჩვენი განათლების სისტემა ბევრ ლაპარაკს იწვევს. ამის გამო გამოთქვამენ ძალიან ბევრ კრიტიკულ შენიშვნას, რომლებიც ასახავენ საქმის ნამდვილ მდგომარეობას.

საუბრებში, რომლებიც მქონდა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნებთან, პარტიის სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების მდივნებთან და სხვა ამხანაგებთან, რომლებიც ზრუნავენ სახალხო განათლების საკითხებზე ან უშუალო დამოკიდებულება აქვთ მასთან, ბოლოს, მრავალ საუბარში მოქალაქეებთან გამოვლინდა სერიოზული უკმაყოფილება საქმის ახლანდელი მდგომარეობის გამო საშუალო და უმაღლეს სკოლაში.

მოზარდი თაობის აღზრდა, რომელმაც უნდა ააგოს კომუნისტური საზოგადოების დიდებული შენობა, უპირველესი მნიშვნელობის საქმეა: განსაკუთრებით დიდია განათლების როლი ჩვენს დროში, როცა მეცნიერების უკანასკნელი მიღწევებისა და უახლესი ტექნიკის უაღრესად ფართოდ გამოუყენებლად შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარება.

ჩემს გამოსვლაში კომკავშირის XIII ყრილობაზე მე უკვე გამოვთქვი ზოგიერთი მოსაზრება ამ სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან საკითხზე. ვფიქრობ, სასარგებლო იქნება უფრო დაწვრილებით ჩამოვაყალიბო პრინციპული მოსაზრებანი ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების მთელი ჩვენი სისტემის გაუმჯობესების შესახებ.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის განმავლობაში საშუალო და უმაღლესმა განათლებამ საბჭოთა კავშირში დიდი წარმატებანი მოიპოვა. თუ რევოლუციამდელ რუსეთში 1914 წელს დაწყებითს და საშუალო სკოლაში სწავლობდა სულ 9,6 მილიონი კაცი, გასულ 1957-58 სასწავლო წელს მოსწავლეთა რიცხვი ჩვენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შეადგენდა 28,7 მილიონ კაცს, ხოლო მოზრდილთა სკოლასთან ერთად 30,6 მილიონ კაცს. ამ ხნის განმავლობაში თითქმის 40-ჯერ გაიზარდა საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეთა რიცხვი, განსაკუთრებით დიდია სახალხო განათლების წარმატებანი მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში, რომელთა მოსახლეობა წარსულში თითქმის მთლიანად წერა-კითხვის უცოდინარი იყო. მაგალითად, უზბეკეთის სსრ სკოლებში ახლა სწავლობს 1,3 მილიონზე მეტი კაცი, მაშინ როცა 1914 წელს თანამედროვე უზბეკეთის ტერიტორიაზე 17 ათასზე ცოტა მეტი მოსწავლე იყო.

მნიშვნელოვანია აგრეთვე წარმატებანი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საქმეში. რევოლუციამდელ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სწავლობდა სულ 182 ათასი სტუდენტი, ახლა მათი რიცხვი 4 მილიონს აღემატება. ჩვენმა უმაღლესმა სკოლამ მოამზადა საბჭოთა ინტელიგენციის შესანიშნავი კადრები — ინჟინრები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, მასწავლებლები, ექიმები და სხვა სპეციალისტები. ამჟამად საბჭოთა კავშირში მუშაობს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე დაახლოებით 6,8 მილიონი სპეციალისტი. ჩვენი წარმატება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, თვალსაჩინო მიღწევები საბჭოთა მეცნიერებისა, ინჟინერ - ტექნიკური მუშაკებისა, რომელთა შრომამ გაამდიდრა საბჭოთა სამშობლო და მთელი კაცობრიობა მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენებით, ბევრად არის დაკავშირებული იმასთან, რომ საბჭოთა უმაღლესმა სკოლამ შეძლო მოემზადებინა ისეთი კვალიფიციური კადრები, რომელთაც უნარი შესწევთ ვადაჭრან უაღრესად რთული და პასუხსაგები ამოცანები.

მიუხედავად ამისა, ჩვენ არ შეგვიძლია კმაყოფილი ვიყოთ უმაღლესი და საშუალო განათლების საქმის დაყენებით და თვით სისტემით. ჩვენი სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაობაში დიდი ნაკლოვანებებია, რომელთა მოთმენა აღარ შეიძლება.

ჩვენი საშუალო და უმაღლესი სკოლის მთავარი, ძირეული მანკია მისი მოწყვეტა ცხოვრებისაგან. ამ ნაკლისათვის სახალხო განათლებისა და უმაღლესი სკოლის მუშაკები არაერთხელ გაუკრიტიკებიათ, მაგრამ მდგომარეობა პრაქტიკულად თითქმის არ იცვლება.

## საშუალო სკოლის შესახებ

ჩვენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ის ნაკლი აქვს, რომ ჩვენ ძალიან ბევრი რამ გადმოვიღეთ რევოლუციამდელი გიმნაზიიდან, რომელიც მიზნად ისახავდა მიეცა კურსდამთავრებულთათვის აბსტრაქტული ცოდნის გარკვეული ჯამი, რაც საკმარისი იყო სიმწიფის ატესტატის მისაღებად. სახელმწიფოსა და სკოლას მაშინ არ აინტერესებდა, როგორი იქნებოდა კურსდამთავრებულთა შემდგომი ბედი.

როგორია საშუალო სკოლის მიმართულება, როცა იგი ადამიანს ამზადებს სიმწიფის ატესტატისათვის? ეს არის აკადემიური ცოდნის გარკვეული კურსის შეძენა, რომელიც დაკავშირებული არ არის წარმოებასთან. სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენ ერთგვარად გვაკლდა დამთავრებული საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდობა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, როცა წარმოიშვა საჭიროება შეგვევსო უმაღლესი სასწავლებლები მუშებით, გლეხებით, მათი შვილებით, აგრეთვე მოსამსახურეთა, მეცნიერთა, მშრომელი ხალხის წარმომადგენელთა შვილებით, საშუალო სკოლა, საკუთრივ, ეგუებოდა იმას, რომ მოემზადებინა ასეთი ადამიანები უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. მაგრამ ვინაიდან საშუალო სკოლას არ შეეძლო სწრაფად გაერთმია თავი ამ ამოცანისათვის, და, რაც მთავარია, მას არ შეეძლო გაერთმია თავი იმისათვის, რომ მიეცა უმაღლესი სასწავლებლებისათვის წარმოებასთან უკვე დაკავშირებული მომზადებული ადამიანები მუშებიდან და გლეხებიდან, საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა მუშათა ფაკულტეტები, სადაც იღებდნენ მოზრდილ მუშებს და აქ მათ ეძლეოდათ საშუალო სკოლის განათლება და იგზავნებოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში.

მაგრამ თანდათანობით ამის საჭიროება მოისპო, და მუშათა ფაკულტეტები უკვე დიდი ხანია არ არსებობენ. საშუალო სკოლაც აღარ ემსახურება მარტო ახალგაზრდობის მომზადებას უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. ჩვენს ქვეყანაში დასახულია და ხორციელდება ამოცანა, რომ ახალგაზრდობამ მიიღოს საყოველთაო საშუალო განათლება. ჩვენ ვცდილობთ მთელი ჩვენი ახალგაზრდობა, მილიონობით ქალიშვილი და ჭაბუკი გავატაროთ ათწლიან საშუალო სკოლაში. ბუნებრივია, რომ ყველა მათ ვერ შთანთქავს უმაღლესი სასწავლებლები და საშუალო სპეციალური სასწავლებლები. ამიტომ სისტემელე იქნებოდა დაგვესახა ამოცანა, რომ ყველა ქალიშვილი და ჭაბუკი, რომლებმაც საშუალო განათლება მიიღეს, უმაღლეს სასწავლებელში უნდა შევიდეს.

მაგრამ ათწლიანი სკოლა ამჟამად ვერ წყვეტს იმ ამოცანას, რომ ახალგაზრდობა მომამზადოს ცხოვრებისათვის, არამედ ამზადებს მას მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. ახალგაზრდობაში, რომელიც საშუალო სკოლას ამთავრებს, აგრეთვე ოჯახებში, სკოლების პედაგოგთა კოლექტივებში მტკიცედ არის დამკვიდრებული აზრი, რომ ასეც უნდა იყოს, რომ ჩვენი საშუალო სკოლა უნდა ამზადებდეს ადამიანებს მხოლოდ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს უმაღლესი სასწავლებლების დაკომპლექტება, რათა შემდეგ ამ ადამიანებმა მიიღონ უმაღლესი განათლება.

ცხოვრებამ დიდი ხანია უკვე გვიჩვენა, რომ ასეთი წარმოდგენა საშუალო სკოლის ამოცანებზე სწორი არ არის, ქალიშვილთა და ჭაბუკთა მნიშვნელოვანი ნაწილი წინათაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ როდი შედიოდა უმაღლეს სასწავლებელში. უკანასკნელ წლებში კი, იმის გამო რომ გაიზარდა ათწლედის კურსდამთავრებულთა რიცხვი, უმაღლეს სასწავლებლებში შედის ქალიშვილთა და ჭაბუკთა ნაკლები ნაწილი. მათი უმეტესობა კი, საშუალო სკოლაში სწავლის დამთავრებისა და სიმწიფის ატესტატის მიღების შემდეგ, მოუმზადებელია ცხოვრებისათვის და არ იცის საით განაგრძოს გზა.

უმაღლეს სასწავლებლებში ჩვენ შეგვიძლია თანამედროვე პირობებში მივიღოთ წელიწადში დაახლოებით 450 ათასი კაცი, აქედან დღის განყოფილებაზე — დაახლოებით ნახევარი. მეტი წილი ახალგაზრდები კი, რომლებმაც ათი წელი ისწავლეს სკოლაში, მისი დამთავრების შემდეგ მოუმზადებლები არიან პრაქტიკული ცხოვრებისათვის. 1954-დან 1957 წლამდე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა რიცხვიდან უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში არ შესულა 2,5 მილიონზე მეტი კაცი. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან მარტო 1957 წელს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში არ შესულა 800 ათასზე მეტი კაცი.

ეს ქალიშვილები და ჭაბუკები, იმის გამო რომ საშუალო სკოლაში სწავლების პროგრამა მოწყვეტილი იყო ცხოვრებას. სრულიად არ იცნობენ წარმოებას. საზოგადოებამაც არ იცის, როგორ გამოიყენოს უკეთ ეს ახალგაზრდა, სიცოცხლით აღსავსე ადამიანები. გამოდის, რომ ახალგაზრდობისა და მშობელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილოა ასეთი მდგომარეობით. და რაც დრო გადის, ეს პროცესი კი არ სუსტდება, არამედ ძლიერდება. ვფიქრობთ, ასეთმა მდგომარეობამ სერიოზული შეშფოთება უნდა გამოიწვიოს ჩვენში.

ვფიქრობ, რომ ასეთი მდგომარეობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს სწორად, და ბევრი ამხანაგი, რომლებთანაც მომიხდა საუბარი, გამოთქვამენ ეჭვს ჩვენში არსებული საყოველთაო ათწლიანი სწავლების ორგანიზაციის სისტემის სისწორეში.

როგორც ჩანს, საჭიროა, რომ სკოლებში ბავშვების სწავლასა და აღზრდასთან ერთად, უკვე პირველი კლასიდან ფსიქოლოგიურად მოვამზადოთ ისინი იმისათვის, რომ მათ შემდეგში მონაწილეობა უნდა მიიღონ საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში. შრომაში, ფასეულობათა შექმნაში, რომლებიც საჭიროა სოციალისტური სახელმწიფოს განვითარებისათვის. ჩვენში ჯერ ჯერ ძველ არსებითად განსხვავდება ფიზიკური შრომა გონებრივი შრომისაგან, ხოლო ძველის მემკვიდრეობით დარჩა კიდევ ისეთი მდგომარეობა, რომ თითქოს უპირატესობა უნდა მიეცეს ახალგაზრდობის რაღაც ნაწილს, რომელიც აუცილებლად უნდა ჩაირიცხოს უმაღლეს სასწავლებელში და არ უნდა წავიდეს ქარხანაში ან კოლმეურნეობაში. დანარჩენები კი ისინი არიან, ვინც „ვერ გამოვიდა ხალხში“ და „ვერ გამოიჩინა უნარი“. სწორედ ისინი უნდა წავიდნენ წარმოებაში. ეს ძირფესვიანად სწორი არ არის და ეწინააღმდეგება ჩვენს მოძღვრებას და ჩვენს მისწრაფებებს.

ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს, როგორც წესი, მიაჩნიათ, რომ მათთვის ერთადერთი მისაღები ცხოვრების გზაა განათლების განგრძობა უმაღლეს ან, უკიდურეს შემთხვევაში, საშუალო სპეციალურ სასწავლებელში. ათწლედის კურსდამთავრებულთა ნაწილი უხალისოდ მიდის სამუშაოდ ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ხოლო ზოგიერთ მათგანს ეს თავისთვის შეურაცხყოფადაც კი მიაჩნია.

ფიზიკური შრომისადმი ასეთი ბატონყაცურ- ქედმაღლური, არასწორი დამოკიდებულება თავს იჩენს ოჯახებშიც. თუ გოგონა ან ბიჭი ცუდად სწავლობს, მშობლები და მათ გარშემო მყოფნი ბავშვს იმით აშინებენ, რომ თუ იგი კარგად არ ისწავლის, არ მიიღებს ოქროს ან ვერცხლის მედალს, ვერ მოხვდება უმაღლეს სასწავლებელში და უბრალო მუშად იმუშავებს ქარხანაში. ფიზიკური შრომა ბავშვებისათვის იქცევა რაღაც საფრთხობელად. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ასეთი მსჯელობა შეურაცხმყოფელია სოციალისტური საზოგადოების მშრომელთათვის.

ასეთ მანკიერ მდგომარეობას, როცა ჩვენს საზოგადოებაში იზრდებიან ადამიანები, რომლებიც პატივს არ სცემენ ფიზიკურ შრომას, მოწყვეტილი არიან ცხოვრებას, ვეღარ შევურიგდებით. სოციალისტურ საზოგადოებაში შრომა ხომ უნდა შეფასდეს მისი სარგებლიანობის მიხედვით, სტიმულირებული უნდა იყოს არა მარტო ანაზღაურებით, არამედ, და ეს მთავარია, ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობის დიდი პატივისცემით. განუწყვეტლივ უნდა ვუნერგავდეთ ახალგაზრდობას, რომ საზოგადოებისათვის მთავარია ის, რითაც საზოგადოება ცხოვრობს, ნაყოფიერი შრომა, იმიტომ, რომ მხოლოდ იგი ქმნის მატერიალურ ფასეულობას. შრომა თვითეული საბჭოთა ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებაა.

უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დრომდე არსებული პრაქტიკა, როცა პრივილეგიური პირობები ექმნებოდათ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას იმ პირებს, ვინც სკოლას ოქროს ან ვერცხლის მედლით ამთავრებდა, კიდევ უფრო ართულებდა მდგომარეობას. საქმე ის არის, რომ მასწავლებლებზე დიდ ზეგავლენას ახდენდნენ ზოგიერთი მშობლები, რომლებიც ცდილობდნენ, რომ მათ შვილებს მედლები მიეღოთ.

გარდა ამისა, ბევრი რამ სწორი არ არის თვით ახალგაზრდობის შერჩევის პრაქტიკასა და უმაღლეს სასწავლებლებში მის ჩარიცხვაში. თუმცა არსებობს საკონკურსო გამოცდები უმაღლეს სასწავლებელში მიღებისას, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხავად ხშირად საკმარისი არ არის გამოცდების წარმატებით ჩაბარება. აქ აგრეთვე თავს იჩენს მშობელთა დიდი გავლენა. ტუუილად როდია გავრცელებული უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელ ახალგაზრდობას შორის ისეთი აზრი, რომ მას შემდეგ, რაც ისინი გაივლიან კონკურსს, იწყება მშობლების კონკურსი, და ხშირად იგი წყვეტს ყველაფერს. ეს ქმნის უთანაბრო შესაძლებლობათა პირობებს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესასვლელად.

როგორ უნდა აღმოვფხვრათ ჩვენი სკოლის ყველა ეს ნაკლი?

საჭიროა გადაჭრით გარდავქმნათ სკოლებში ჩვენი მოზარდი თაობის აღზრდის სისტემა.

ამ საქმეში ყველაზე მთავარია მივცეთ ლოზუნგი და რომ ეს ლოზუნგი იყოს წმიდათაწმიდა სკოლაში შემსვლელი ყველა ბავშვისათვის, რომ ყველა ბავშვი უნდა ემზადებოდეს სასარგებლო შრომისათვის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში მონაწილეობისათვის. და ყოველგვარი შრომა ფაბრიკასა თუ კოლმეურნეობაში, სამრეწველო საწარმოში, საბჭოთა მეურნეობაში, მტს-ში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურსა თუ დაწესებულებაში, პატიოსანი, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არის წმიდა შრომა და საჭიროა ყველა ადამიანისათვის, ვინც ცხოვრობს და სარგებლობს საზოგადოების სიკეთით. ყოველ ადამიანს, რომელიც ცხოვრობს კომუნისტურ საზოგადოებაში, თავისი შრომით უნდა შეჰქონდეს წვლილი ამ საზოგადოების მშენებლობასა და შემდგომ განვითარებაში. ჩვენი მოზარდი თაობის მომზადება ცხოვრებისათვის, სასარგებლო შრომისათვის, ჩვენს ახალგაზრდობაში დიდი პატივისცემის დანერგვა სოციალისტური საზოგადოების პრინციპებისადმი — ეს ამოცანა უნდა გახდეს ჩვენი სკოლის მთავარი ამოცანა.

სკოლა მოწოდებულია მომამზადოს მრავალმხრივ განათლებული ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან მეცნიერების საფუძვლები და ამასთან უნარი შესწევთ სისტემატური ფიზიკური შრომისა, ჩაუნერგოს ახალგაზრდობას მისწრაფება იყოს სასარგებლო საზოგადოებისათვის; აქტიურად მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებისათვის საჭირო ფასეულობათა წარმოებაში.

რა პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებაა მიზანშეწონილი ამ მიმართულებით?

ჩემი აზრით, საწარმოებში, კოლმეურნეობებში და ა. შ. საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში უნდა ჩავაბათ უკლებლივ ყველა მოსწავლე 7-8 კლასის დამთავრების შემდეგ. ქალაქშიც, სოფელშიც, მუშათა დაბაშიც სკოლის ყველა კურსდამთავრებული უნდა წავიდეს წარმოებაში, არავის არ უნდა ასცდეს ეს. ჯერ ერთი, ეს იქნება დემოკრატიული, რადგან შეიქმნება უფრო თანაბარი პირობები ყველა მოქალაქისათვის: ვერც მშობელთა მდგომარეობა, ვერც მათი შუამდგომლობა ვერ გაათავისუფლებს ვისმეს მწარმოებლური შრომისაგან; მეორე, ეს იქნება საუცხოო სკოლა მთელი ახალგაზრდობის აღზრდისა მუშათა კლასის და კოლმეურნე გლეხობის გმირული ტრადიციების სულისკვეთებით.

ამრიგად, ჩვენი სკოლის ნაკლოვანებათა დაძლევის ერთადერთი შესაძლო და საჭირო პირობა უნდა იყოს ის, რომ ყველა ქალიშვილი და ჭაბუკი სკოლაში სწავლის დროს ემზადებოდეს ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში ფიზიკური შრომისათვის, ყოველგვარ შრომაში მონაწილეობის მიღებისათვის, რომელიც სასარგებლოა საზოგადოებისათვის.

ჩვენი საშუალო და უმაღლესი განათლების მთელი სისტემა ისე უნდა აიგოს, რომ უზრუნველყოთ კადრების — ინჟინერ-ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, მედიცინის, მეცნიერთა, პედაგოგთა, მუშათა, სოფლის მეურნეობის მშრომელთა კადრების — ჩვენი სახელმწიფოსათვის საჭირო მთელი კადრების კარგი მომზადება. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მთელი ჩვენი კადრების მომზადება უფრო მაღალი და კვალიფიციური იყოს, ვიდრე დღემდე იყო.

ამ მიზნით, ვფიქრობ, მიზანშეწონილია, რომ საშუალო განათლება ორ ეტაპად გაიყოს. პირველ ეტაპად, როგორც ჩანს, უნდა ვიქონიოთ შვიდწლიანი ან რვაწლიანი სკოლა და ამ სკოლაში სწავლა სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის. სახალხო განათლების მუშაკები, ბევრი მშობელი ამტკიცებენ, რომ სწავლების რვაწლიანი ვადა შესაძლებელს გახდის უკეთ გადაიჭრას მოსწავლეთა საჭირო ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტექნიკური მომზადების ამოცანა. როგორც ჩანს, ეს სწორია, მაგრამ მიზანშეწონილია, რომ ეს საკითხები თვითეულმა მოკავშირე რესპუბლიკამ დამოუკიდებლად გადაჭრას თავისი პირობების გათვალისწინებით. საჭიროა აგრეთვე სერიოზულად მოვიფიქროთ პროგრამის შინაარსი და მეცადინეობის ორგანიზაცია ამ სკოლაში.

რვაწლიან სკოლაში, საშუალო განათლების პირველ ეტაპზე, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლას, პოლიტექნიკურ მომზადებასა და შრომითს აღზრდას, კომუნისტური ზნეობის დანერგვას, ბავშვების ფიზიკურ მომზადებას და მათში კარგი მხატვრული გემოვნების განვითარებას. ამასთან არ შეიძლება გადავტვირთოთ მოსწავლეები, რაც მავნე გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობაზე.

არ უნდა დავივიწყოთ ქალის შრომის თავისებურებანიც. ჩვენს ქვეყანაში ქალები და კაცები თანაბარი რაოდენობისა და ხარისხის შრომაში თანაბარ ანაზღაურებას იღებენ. მაგრამ მაინც, სპეციფიკური საყოფაცხოვრებო პირობების შედეგად, ქალს მეტი სხვა მოვალეობა აკისრია, ამასთან სრულიად აუცილებელი: ბავშვის მოვლის, ოჯახის გაძღოლის ცოდნა, კულინარიის რამდენადმე ცოდნა. მომავალში კიდევ უფრო ფართოდ განვითარდება საზოგადოებრივი კვება, მაგრამ, როგორც ჩანს, საზოგადოებრივ კვებაშიც ქალთა შრომას უპირატესი ადგილი ექნება. ამიტომ უნდა ვასწავლოთ გოგონებს სკოლებში სწავლის დროს კულინარია, ჭრა-კერვა და ქალებისათვის დამახასიათებელი სხვა სპეციალობანი. ყოველივე ეს უნდა გავითვალისწინოთ სასკოლო სწავლების პროგრამებში.

სერიოზულად უნდა გავაუმჯობესოთ სკოლების მატერიალური ბაზა, ბოლოსდაბოლოს, აღმოვფხვრათ მრავალცვლიანი მეცადინეობა, უზრუნველყოთ სკოლები თანამედროვე სასწავლო მოწყობილობით.

საშუალო განათლების მიღების მეორე ეტაპი შეიძლება რამდენიმე გზით წავიდეს. ერთ-ერთი მათგანი შეიძლება იყოს, მაგალითად, ასეთი: მოსწავლის 7-8 წლის სწავლების შემდეგ სკოლებმა შემდგომ 2 ან 3 წელიწადში მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ მოსწავლეთა სპეციალურ პროფესიულ სწავლებას.

ქალაქებსა და მუშათა ცენტრებში, მუშათა დაბებში ბავშვები, რომლებმაც 7-8 წლის განათლება მიიღეს, შესაძლოა უნდა წავიდნენ საფაბრიკო-საქარხნო სწავლების ტიპის სკოლებში. ისინი განაგრძობენ სწავლას, მაგრამ ეს სწავლა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული პროფესიულ განათლებასთან (ეხმარებოდეს მოსწავლეებს შეიძინონ საწარმოო ცოდნა და შრომითი ჩვევები, არა მარტო წარმოების აბსტრაქტული ცოდნა, არამედ აგრეთვე შრომითი ჩვევები).

სოფელ ადგილებში მოსწავლეებმა, სკოლაში 7-8 წელს სწავლის შემდეგ, უნდა მიიღონ პრაქტიკული და თეორიული ცოდნა აგრონომიაში, ზოოტექნიკასა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში ან 2-3 წელიწადს ისწავლონ სხვა რომელიმე ხელობა, რადგან ახალგაზრდობას სოფელშიც შეუძლია ისწავლოს გარკვეული სახეობის ხელობა.

ამრიგად, ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც სკოლას დამთავრებენ, მიიღებენ აგრეთვე შესაბამის განათლებას და ხელოსნურ, საწარმოო ჩვევებს, მომზადებული შეიქნენ ცხოვრებაში.

მაგრამ შეიძლება დავადგეთ ასეთ გზასაც: საშუალო განათლების მიღების პირველი ეტაპი ახალგაზრდობამ დაამთავროს 8 წლიანი სწავლით სკოლებში, რათა რვაწლედის დამთავრების შემდეგ ყველა ქალიშვილმა და ჭაბუკმა მუშაობა დაიწყოს წარმოებაში. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ასეთი ორგანიზაციის დროს ჩვენ მოგვიხდება ყოველწლიურად გავგზავნოთ სამუშაოდ უახლოეს პერიოდში 2-დან 3,5 მილიონამდე მოზარდი, ამასთან დაახლოებით 40 პროცენტი ქალაქში და დანარჩენი—სოფლად.

ამდენი ახალგაზრდის მოწყობა სამუშაოზე არ არის უბრალო საქმე, მით უფრო, რომ ამჟამად სამეურნეო მუშაკები მეტად უხალისოდ იღებენ სამუშაოზე მოზარდებს და ახალგაზრდებს, რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელი. მაგრამ ეს არის უპირველესი პარტიული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე. საჭიროა დავძლიოთ ბიუროკრატიული დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიან მოზარდთა მოწყობას სამუშაოზე სახალხო მეურნეობაში, და დავალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შეიმუშაოს იმ მოზარდთა შრომითი მოწყობის პერსპექტიული გეგმა, რომლებიც რვაწლიან სკოლას დაამთავრებენ. ასეთი გეგმა უნდა დავაკონკრეტოთ თვითეული ადმინისტრაციული ეკონომიური რაიონის პირობებში ისე, რომ გავითვალისწინოთ მოზარდთა მოწყობა სამუშაოზე მათ საცხოვრებელ ადგილს.

ამავე დროს, როგორც ჩანს, უნდა შეგვისწავლოთ ის საკითხი, რომ მოზარდთათვის დაწესდეს ჯავშანი საწარმოებში, რათა ისინი დაუბრკოლებლად მოეწყონ სამუშაოზე რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ და რომ შეგვქმნათ სპეციალური საამქროები საწარმოებში და შევარჩიოთ სამუშაო ადგილები მოზარდთა ასაკისა და შესაძლებლობათა შესაბამისად, უსაფრთხოების ტექნიკის მტკიცედ დაცვით.

ახალგაზრდობას, რომელიც წარმოებაში მიდის სავალდებულო სკოლის (8-წლიანი სწავლების ვადით) დამთავრების შემდეგ, საჭიროა მეცადინეობა სხვადასხვა გზით დაეუფლოს პროფესიას. ერთ-ერთი ასეთი გზა შეიძლება იყოს ის, რომ ქალიშვილს ან ჭაბუკს პროფესია შეეძინოთ უშუალოდ წარმოებაში, უპირატესად მოკლევადიანი კურსების ორგანიზაციისა და ბრიგადული შეგირდობის საშუალებით. მეორე გზა შეიძლება იყოს ის, რომ ქალიშვილმა ან ჭაბუკმა პროფესია აითვისოს სპეციალურ ერთ ან ორწლიან პროფესიულ სკოლაში. ასეთ სკოლაში სწავლების ვადის, პროგრამისა და სწავლების ორგანიზაციის საკითხი კარგად უნდა შეგისწავლოთ და განვიხილოთ.

შესაძლებელია მიზანშეწონილი აღმოჩნდეს, რომ მთელ ახალგაზრდობას კი არა, არამედ მის ნაწილს (ვინც მოისურვებს და ვინც სათანადო მოთხოვნების შესაბამისი იქნება) სავალდებულო 8-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ შეგვასწავლოთ გარკვეული პროფესია საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლებსა და ანალოგიურ სასოფლო-სამეურნეო სკოლებში, რომლებზეც ნათქვამია ზემოთ და რომლებშიც მოსწავლენი, ამა თუ იმ პროფესიის დაუფლებასთან ერთად, შეისწავლიან ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებსაც. ასეთი სკოლები ჩვენში ახლო წარსულამდე იყო, და მათ სავსებით გაამართლეს თავიანთი დანიშნულება. შვიდწლედის ბაზაზე მოწყობილ საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში, რომლებშიც იღებდნენ შვიდწლედდამთავრებულ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, სწავლების კურსი გაიარა ასიათასობით კაცმა, რომლებიც ამ სკოლებში სწავლების მეოხებით კვალიფიციური მუშები გახდნენ, რომლებსაც ამასთან სრულიადაა საშუალო განათლება აქვთ. ამ სკოლების კურსდამთავრებულთა არცთუ მცირე ნაწილმა იმუშავა 2-3 წელს წარმოებაში, შემდეგ ისინი შეივიდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, წარმატებით დაამთავრეს ეს სასწავლებლები და ახლა მუშაობენ ინჟინერებად ჩვენს მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე.

სოფელ ადგილას მოზარდთა პროფესიული მომზადებისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სავალდებულო სწავლების რვაწლიანი სკოლების ფართო ქსელი, მოვაწყოთ ამ სკოლებთან ერთწლიანი ან ნახევარწლიანი კურსები, სადაც რვაწლიანი სკოლების კურსდამთავრებულნი სურვილისამებრ მიიღებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამა თუ იმ მასობრივ პროფესიას. ასეთი კურსები შეიძლება მოეწყოს აგრეთვე უშუალოდ მსხვილ საბჭოთა მეურნეობებთან, მტს-ებთან და სარემონტო-ტექნიკურ სადგურებთან.

მეორე ეტაპად, რომელიც დამთავრებულ საშუალო განათლებას იძლევა, ყველაზე მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს ქალიშვილთა და ჭაბუკთა სწავლება წარმოებას მოუწყვეტლივ. როგორც ჩანს, წარმოებაში უნდა გვექნეს მუშა ახალგაზრდობის საღამოს (ცვლის) სკოლები. ქარხანაში მოსულ ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს, თუ სურვილი ექნებათ, შეუძლია მიიღოს განათლება ასეთ სკოლაში. ალბათ, საჭიროა გვქონდეს კარგად მოფიქრებული სისტემა დაუსწრებელი განათლებისა, რომელშიც მოსწავლეთა სწავლების საქმე მეტად კვალიფიციურად უნდა იქნეს დაყენებული ფართოდ გამოცდილი ლექციებისა შესაბამისი სახელმძღვანელოებისა სისტემატურად გავუწიოთ მსურველთ საჭირო კონსულტაციები.

საჭიროა თავიდან ავიცილოთ ისეთი მდგომარეობა, როცა საღამოს სკოლები ამოცანად ისახავენ მხოლოდ მომზადებას უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისათვის. ამ სკოლებში ხომ ისწავლის კაცილებით უფრო მეტი ახალგაზრდობა, ვიდრე უმაღლესი სასწავლებლების შესავსებად იქნება საჭირო. მაშასადამე, საღამოს სკოლებში მოსწავლეებს უნდა შეექმნათ შესაძლებლობა მიიღონ არა მარტო საშუალო სკოლის სრული ზოგადი განათლება, არამედ აგრეთვე სრულყონ, გაღრმავონ თავიანთი პროფესიული განათლება, რათა მოვამზადოთ უფროსი კვალიფიციური, განათლებული მუშები, კოლმეურნეები და ჩვენი საზოგადოების სხვა მუშაკები, რომლებსაც ექნებათ დამთავრებული საშუალო ზოგადი აგრეთვე სპეციალური განათლება.

მაშასადამე, ჩვენში წინანდებურად ყველას ექნება შესაძლებლობა მიიღოს საშუალო განათლება ახლანდელი ათწლედის მეცულობით, მაგრამ არა ახლანდელ სკოლაში, რომელიც მოწყვეტილია ცხოვრებას, არამედ სწავლების საღამოს ან დაუსწრებელ ქსელში, რომელიც ყოველნაირად უნდა განვავითაროთ და გავაუმჯობესოთ. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ქალიშვილი ან ჭაბუკი, დაამთავრებს რა რვაწლიან სკოლას, არ მოისურვებს შემდეგ სწავლას: კაცი დაიღალა, ან ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული, რომ საჭიროა ჰქონდეს საშუალო განათლება. ერთხანს ეს ქალიშვილი ან ჭაბუკი არ ისწავლის, იმუშავებს. ამ ახალგაზრდებს ექნებათ ერთგვარი ხარვეზი სწავლაში, მაგრამ როცა ისინი ცხოვრებაში შევლენ და გაიღვიძებათ შეგნება და მოთხოვნილება, რომ შეიძინონ განათლება, ყოველთვის ექნებათ შესაძლებლობა ის

# ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ

(დასასრული)

მონაწილეობდეს შრომაში, არა აუცილებლად ფიზიკურ შრომაში, არამედ, შეიძლება მუშაობდეს კანტორაში, მაგრამ ცხოვრობდეს სასარგებლო შრომით საზოგადოებაში. აღზრდის ასეთი სისტემა დაეხმარება ადამიანებს არ მოსწყდნენ ცხოვრებას, რომ ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები ცხოვრებაში შევიდნენ მომზადებული ადამიანები, კომუნისტური საზოგადოების სრულფასოვანი მშრომელნი, უშუალოდ თავიანთი შრომით იღებდნენ მონაწილეობას ამ საზოგადოებისათვის საჭირო მატერიალური დოვლათის შექმნაში. საჭიროა უკვე სკოლაში დაეწყოთ ადამიანების მომზადება წარმოებისათვის, საზოგადოებაში სასარგებლო შრომისათვის. უნდა მივცეთ მათ მაქსიმალურად შესაძლო განათლება და შემდეგ გავგზავნოთ წარმოებაში. იმუშავებს რა წარმოებაში და ისწავლის სკოლაში, ახალგაზრდა უკეთ იპოვნის თავის მდგომარეობას საზოგადოებაში, გაარკვევს თავის მიდრეკილებას და სურვილებს. იგი შეიძლება დასპეციალდეს რომელიმე დარგში და, იმუშავებს რა წარმოებაში, შევიდეს შესაბამის სასწავლებელში. მაგრამ ჯერ იგი უნდა გამოვცადოთ საღამოს მეცადინეობაში წარმოებას მოუწყვეტლივ. ვიმეორებ, რომ ამ საქმეში არ უნდა იყოს არავითარი გამონაკლისი, იმისდა მიუხედავად, თუ რა მდგომარეობა უკავიათ მშობლებს საზოგადოებაში და რა თანამდებობა უჭირავთ.

პროლეტარულ რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდობის აღზრდის სწორი დაყენება სოციალიზმის დროს შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ახალგაზრდა თაობის სწავლებას შეგახამებთ მის საწარმოო შრომასთან. „საყოველთაო ნაყოფიერი შრომა საყოველთაო სწავლებას რომ შეგუერთოთ, —წერდა ვ. ი. ლენინი, — ამისათვის, ცხადია, აუცილებლად საჭიროა **ყველას** დაეკისროს მოვალეობა მონაწილეობა მიიღოს ნაყოფიერ შრომაში“ (ტ. 2 გვ. 585, ხაზგასმულია ვ. ი. ლენინის მიერ).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ ჩვენს სკოლებში, დაწყებული უმცროსი კლასებიდან, შემოღებულია შრომა, V-VII კლასებში ბავშვები კვირაში ორ-ორ საათს მეცადინეობენ სასკოლო სახელოსნოებში, უფროს VIII-X კლასებში შემოღებულია სოფლის მეურნეობის, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმები ორ-ორ საათს კვირაში და საწარმოო პრაქტიკა უშუალოდ საწარმოებსა და კოლმეურნეობებში 60-80 საათს წელიწადში. ეს უდავოდ კარგი საქმეა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის სწავლების შეერთება საწარმოო შრომასთან, ეს უფრო ის არის, რომ მოსწავლეები ზოგადად ეცნობიან მოზრდილთა სხვადასხვა სახეობის შრომას.

ჯერ კიდევ კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ შესაბამისი ასაკის ბავშვები ყოველდღიურად უნდა მუშაობდნენ წარმოებაში, და ეს საკვლებით სწორია, რადგან მხოლოდ ამ პირობით შეიცნობენ ქალიშვილები და ჭაბუკები შრომის მთელ სირთულესა და მთელ მშვენიერებას და ნამდვილად ჩაებმებიან მუშათა კოლექტივში და გაიზიარებენ მის ინტერესებს.

ჩვენი სკოლის მუშაობის გარდაქმნის შესახებ კონკრეტულ წინადადებათა შემუშავებისას საჭირო იქნება ვიფიქროთ იმაზე, რომ გარკვეული შეღავათები მიენიჭოთ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეებს, რომლებიც სწავლას წარმატებით ახამებენ წარმოებაში მუშაობასთან. შეიძლება საჭირო იყოს კვირაში მათი 2-3 დღით განთავისუფლება წარმოებაში მუშაობისაგან, რათა ეს დღეები მთ მთლიანად მოახმარონ სწავლას.

რაც შეეხება ამ სკოლებში სწავლების ვადას, იმ მიზნით, რომ თავიდან ავიცილოთ მოსწავლეთა მეტისმეტი გადატვირთვა, საჭირო იქნება, ალბათ, დავაწეროთ 3-4 წელი. ეს საკითხიც სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სასკოლო განათლების სისტემის შეცვლის წინადადებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია ჩემს ბარათში, სრულიადაც არ ისახავენ მიზნად, რომ შევამციროთ საშუალო განათლების მასშტაბი და შევცვალოთ იგი შვიდი ან რვაწლიანი სწავლებით. საღამოს და დაუსწრებელი სკოლების ქსელის ფართოდ განვითარება შესაძლებლობას მისცემს ყველა მსურველს მიიღოს დამთავრებული საშუალო, ხოლო შემდეგ უმაღლესი განათლებაც.

ჩვენ ვერ დავივიწყებთ იმას, რომ ამჟამად, მიუხედავად იმისა, რომ შვიდწლიანი სწავლება სავალდებულოა, ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ იღებს არა თუ სრულ საშუალო განათლებას, არამედ შვიდ კლასსაც ვერ ამთავრებს. სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, უკანასკნელ წლებში მეშვიდე კლასს ამთავრებს, ორწლიანებიც კი რომ გავითვალისწინოთ, 80 პროცენტი იმ ბავშვებისა, რომლებიც პირველ კლასში შევიდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ სავსებით ეროდი გაგვიხორციელებია შვიდწლიანი სავალდებულო სწავლების პრინციპი.

ვფიქრობ, რომ სახალხო განათლების სისტემის შეცვლის ზემოაღნიშნული წინადადებანი ხელს შეუწყობენ იმას, რომ ნამდვილად შესრულდეს შვიდწლიან ან რვაწლიან სკოლაში სავალდებულო სწავლების პრინციპი.

რაც შეეხება საყოველთაო სავალდებულო სრული საშუალო სწავლების შემოღებას იმ სახით, როგორც ეს ჩვენში იყო დღემდე, ყველაფრიდან ჩანს, ახლა ეს არ იქნებოდა მიზანშეწონილი.

იბადება კითხვა — საჭიროა თუ არა მთლიანად გადავიდეთ სახალხო განათლების ზემოაღნიშნულ სისტემაზე, თუ მიზანშეწონილია ნაწილობრივ შევინარჩუნოთ ამჟამად არსებული საშუალო სკოლა, ამასთან შევიტანოთ მის მუშაობაში საჭირო ცვლილებები? არის აზრი, რომ სრული საშუალო პოლიტექნიკური სკოლების ერთგვარი შედარებით მცირე რაოდენობა შეიძლება დავტოვოთ, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ ამ სკოლებში გავადიდებთ შრომითი ჩვენების შესწავლისა და ჰწარმოებლურ შრომაში მონაწილეობის ხვედრითს წონას, ხოლო უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს ამ სკოლების კურსდამთავრებულთ მოვთხოვთ ორწლიან საწარმოო სტაჟს. ეს საკითხიც მოითხოვს ყურადღებით და ყოველმხრივ განხილვას და განხილვის შემდეგ უფრო სწორი გადაწყვეტის გამონახვას.

სახალხო განათლების ახალ სისტემაში უნდა გავითვალისწინოთ, რომ განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისათვის, რომლებსაც ადრე ასაკში აშკარად აღმოაჩნდათ ნიჭი, მაგალითად, მათემატიკაში, მუსიკაში, სახვითს ხელოვნებაში, გამონაკლისის სახით, ვიქონიოთ შესაბამისი საშუალო სკოლები, რომლებშიც ისინი მიიღებენ საშუალო განათლებას, რომელიც აუცილებელია შემდგომი სწავლისათვის შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ჩვენმა სახელმწიფომ სწორად განავითაროს და გამოიყენოს ხალხში წარმოშობილი ტალანტები.

თუ საჭიროდ ჩაითვლება სკოლების რეორგანიზაცია, ხოლო ამას დაბიჯითებთ მოითხოვს ცხოვრება, ეს მუშაობა უნდა განვახორციელოთ ისე, რომ არ გამოვიდეს ხარვეზი უმაღლესი სასწავლებლების დასაკომპლექტებლად კონტინგენტების მომზადებაში. უნდა უზრუნველვყოთ, რომ სკოლაში სწავლების ამჟამად არსებული წესიდან ახალ წესზე გადასვლის პერიოდში ზიანი არ მივაყენოთ ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის სპეციალისტების მომზადებას ჩვენი ქვეყნის სპეციალურ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

როგორც ჩანს, ამ გარდამავალ პერიოდში (3-4 წლის განმავლობაში) ამჟამად არსებული სკოლა-ათწლედების რაღაც რაოდენობა უნდა შევინარჩუნოთ. შესაძლებელია, მიზანშეწონილად იქნას ცნობილი ნიჭიერ მოსწავლეთა შერჩევა არსებულ სკოლებში, რათა თავი მოვუყაროთ გარკვეულ სკოლებში განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვებს, რომლებმაც გამოიჩინეს მიდრეკილება, მაგალითად, ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგიის, ხაზვისა და სხვა საგნების შესწავლისადმი. ისინი უკეთ უნდა მოვამზადოთ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად გამოვლინებული მიდრეკილების შესაბამისად. მაშინ ჩვენი სპეციალური უმაღლესი სასწავლებლები მიიღებენ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებიც უკეთ იქნებიან მომზადებული ზუსტ და სხვა მეცნიერებათა დაუფლებისათვის.

# უმაღლესი სკოლის შესახებ

ისევე როგორც საშუალო სკოლის მიმართ, მიზანშეწონილია გულდასმით განვიხილოთ უმაღლესი განათლების სისტემა. ამჟამად ბევრმა ახალგაზრდამ, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებს ამთავრებენ, ცუდად იცის საქმის პრაქტიკა, საკმაოდ არ არის მომზადებული წარმოებაში სამუშაოდ.

ახლა 17 წლის ქალიშვილები და ჭაბუკები ამთავრებენ ათწლედს. და მაშინვე ამის შემდეგ შედიან ინსტიტუტში და 22-23 წლისანი ამთავრებენ მას. როგორი სპეციალისტი უნდა გამოვიდეს ასეთ პირობებში?

არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ის, თუ როგორ ირჩევს ახლა ჩვენში პროფესიას ახალგაზრდობა, რომელიც სკოლის დამთავრებისთანავე შედის უმაღლეს სასწავლებელში. ბევრ, ხოლო შესაძლოა მეტ წილ შემთხვევებში ეს არჩევანი შემთხვევითია. ამიტომ ხშირია, როცა ქალიშვილი ან ჭაბუკი ვერ შედის იმ უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც მან აირჩია და მზად არის შეიტანოს განცხადება ყოველ სხვა უმაღლეს სასწავლებელში, თუნდაც სრულიად სხვა პროფილისა, ოღონდ კი მიიღოს უმაღლესი განათლება. ცოტა როდია ისეთი შემთხვევებიც, როცა ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი, არავითარ მისწრაფებას არ გრძნობენ მიღებული პროფესიისადმი და ან შედიან სხვა უმაღლეს სასწავლებელში, ან მუშაობენ არა სპეციალობის მიხედვით. ეს აიხსნება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ახლა ახალგაზრდობას არა აქვს ცხოვრების არავითარი გამოცდილება.

სწორად არ წარმოებს აგრეთვე სპეციალისტთა მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში მთელი რიგი დარგების მიხედვით.

ავიღოთ სოფლის მეურნეობის დარგი. ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები სწავლების პერიოდში აუცილებლად მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ჩვენ კი ხშირად სწორად არ ვხრდით ჩვენს სტუდენტებს. აიღეთ ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია. იქ სწავლობენ არა მინდორში, არამედ უმთავრესად კვლებზე. ძროხასა და სხვა ცხოველებს სწავლობენ არა მეურნეობაში, როგორც ამას ცხოვრება მოითხოვს, არამედ უმთავრესად მაკეტებით. ყოველ სტუდენტზე საერთო ანგარიშით მოდის ამ სტუდენტთა მომსახურე ერთზე მეტი კაცი. და ამას ეწოდება უმაღლესი საბჭოთა სკოლა. მე ეს სწორად არ მიმაჩნია.

ამიტომ ძალიან ხშირად მესმის, და ზოგჯერ მიხდება დავიცვა კიდევაც ახალგაზრდა სპეციალისტები. როცა საკოლმეურნეო კადრები ამბობენ — არ გვინდა ახალგაზრდები, რატომ გვიგზავნით ახალგაზრდობას. ასეთი აზრი მესმის ბევრ საკოლმეურნეო კრებაზე, როგორც კი ლაპარაკი იწყება სპეციალისტებზე. რატომ? იმიტომ, რომ ეს ადამიანები მეტწილად გამოუცდელები არიან. მივა კოლმეურნეობაში ქალიშვილი ან ჭაბუკი — დადიან აქეთ-იქით, პრაქტიკულად კი ვერ ეხმარებიან კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მეურნეობის უკეთ გაძღოლაში. და გამოდის, რომ მცირე მცოდნე პრაქტიკოსი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ან ბრიგადირი, უფრო ძვირფასია მეურნეობისათვის, ვიდრე კოლმეურნეობაში ჩამოსული ეს ადამიანი, რომელმაც არ იცის როგორ დაუკავშიროს თეორია პრაქტიკას, თუმცა თეორიულად კარგად არის მომზადებული. ამ ახალგაზრდა სპეციალისტს იქნებ 3-4 წლით უფრო გვიან რომ დაემთავრებინა სასწავლებელი, სამაგიეროდ თვითონ გაევლო სოფლის მეურნეობის ყველა საწარმოო პროცესი, მაშინ იგი უფრო მეტ სარგებლობას მოიტანდა, მაშინ სხვანაირად შეხედავდნენ ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებიც ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს ამთავრებენ.

ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება ვთქვათ, რომ ახლა არის საწარმოო პრაქტიკა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში. დიაბ, არის, მაგრამ იგი ძალიან ცუდად არის მოწყობილი. საწარმოო პრაქტიკას უნდა გადიოდნენ უფრო ღრმად და არა ისე, როგორც ახლა. ახლა სტუდენტები პრაქტიკის დროს უფრო მეტად დაეხეტებიან ქარხანაში: ერთი მუშაობს, ხოლო 10-15 კაცი მას უყურებს, თვითონ კი ეშინიათ ჩარხთან მისვლა. საწარმოს ადმინისტრაციაც ნაკლებად ენდობა პრაქტიკანტებს, რადგან სტუდენტებს არა აქვთ კვალიფიკაცია, და თუ მათ სამუშაო ჩარხი მივეცით, გამოდის საწარმოო სიმძლავრეთა, საწარმოო შესაძლებლობათა დაკარგვა. საწარმოებს ამძიმებენ ასეთი პრაქტიკანტები.

ჩვენ საერთოდ საფუძვლიანად უნდა მოვიფიქროთ საღამოს და დაუსწრებელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საკითხი. საჭიროა იმას მივაღწიოთ რომ იმ ადამიანებს, რომლებიც საზოგადოებაში სასარგებლო შრომას ეწევიან, სამუშაოსაგან თავისუფალ დროს მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ, თუ ეს მათ სურთ, ისწავლონ ისეთ სასწავლებლებში, სადაც ისინი შეისწავლიან ხელოვნებას, ფერწერას, მუსიკას, ჰუმანიტარულ მეცნიერებებს და სხვ. სახელმწიფომ და განსაკუთრებით პროფკავშირებმა ამაში ხელი უნდა შეუწყონ ჩვენი საზოგადოების მშრომელებს.

მომაჩნია, რომ საჭიროა ვიფიქროთ ქარხანა-უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების მუშაობის განახლების შესახებ. წარსულში ეს ცუდ შედეგებს როდი იძლეოდა. და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში ცოტა ინჟინერი როდი მუშაობს, რომლებმაც ცოდნა და სპეციალისტის დიპლომები ასეთი გზით მიიღეს. და უნდა ითქვას, რომ ისინი მეტწილად ძალიან კარგი ინჟინრები, თავისი საქმის მცოდნე სპეციალისტები არიან.

სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის შეხამება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მუშაობასთან, შესაძლოა, უნდა აიგოს სეზონური პრინციპის მიხედვით. სწავლა უნდა წარმოებდეს მსხვილ მეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან შექმნილ ინსტიტუტებში. იქ უნდა იყოს სასწავლო კორპუსები, ლაბორატორიები და მეურნეობა პრაქტიკული მუშაობისათვის. ან, ყოველ შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებთან უნდა იყოს მძლავრი, სანიმუშო სასწავლო მეურნეობა. სტუდენტებმა თვითონ უნდა მოუარონ პირუტყვს, შეაკეთონ მანქანები, შეეძლოთ ამ მანქანების მართვა, თვითონ უნდა თესონ, მოიყვანონ და აიღონ მოსავალი.

უნივერსიტეტების, სამედიცინო, პედაგოგიური და სხვა უმაღლესი სასწავლებლების მუშაობა აგრეთვე მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ პრაქტიკას. რა თქმა უნდა, ამ კავშირის ფორმები გულდასმით უნდა მოვიფიქროთ.

ჩვენი უმაღლესი სკოლის მუშაობაში ბევრია სხვა ნაკლიც: სტუდენტები მეტისმეტად გადატვირთული არიან სავალდებულო მეცადინეობით და ცოტა დრო რჩებათ დამოუკიდებელი მუშაობისათვის, მასწავლებელთა შემადგენლობა, რომელთა შორის ბევრია მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, სუსტად მონაწილეობს მეცნიერულ მუშაობაში. მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მოითხოვს საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლა და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენება. უმაღლესი განათლების სისტემის გარდაქმნამ ხელი უნდა შეუწყოს აგრეთვე ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციას.

ამავე მიმართულებით უნდა განხორციელდეს საშუალო სპეციალური განათლების სისტემის გარდაქმნაც.

* * *

აი ზოგიერთი მოსაზრება საშუალო და უმაღლესი განათლების საკითხზე, რომლებიც მინდოდა იმის დამატებით მეთქვა, რაც ვთქვი კომკავშირის XIII ყრილობაზე და რამაც საკმაოდ ფართო გამოხმაურება და დადებითი დამოკიდებულება პოვა ჩვენს ქვეყანაში.

შესაძლოა, საჭიროდ იქნას მიჩნეული ამ საკითხების განხილვა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რადგან ისინი შეეხებიან მილიონობით ადამიანს, შეეხებიან მთელ საზოგადოებას და მათ სწორად გადაჭრას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი საზოგადოების შემდგომი მატერიალური და სულიერი განვითარებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განხილვის შემდეგ. იქნებ, სასარგებლოდ იქნას მიჩნეული შემუშავდეს შესაბამისი თეზისები ამ საკითხების საყოველთაო სახალხო განხილვისათვის, ხოლო შემდეგ მოწვეულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია, სადაც აგრეთვე განვიხილავთ ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების საკითხებს და დავსახავთ მათი გადაწყვეტის საერთო ხაზს. მაგრამ ისე უნდა გავაკეთოთ, რომ კონკრეტული დადგენილებანი საშუალო და უმაღლესი სკოლის შესახებ საბოლოოდ მიღებულ იქნას მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების სესიებზე, რადგან ყოველ რესპუბლიკაში განათლების სისტემის საკითხის გადაჭრა შეადგენს მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების კონპეტენციას.

მთელი გარკვეულობით უნდა გავუსვათ ხაზი ერთ რამეს — სახალხო განათლების მთელი საქმის გაუმჯობესება ჩვენს ქვეყანაში დაბეჯითებით ნაკარნახევია ცხოვრებით.

**ნ. ხრუშჩოვი.**

# საკდესის ცნობა

როგორც პრესა იუწყებოდა, 19 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერს გაუგზავნა წერილი ტაივანის რაიონში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. საბჭოთა მთავრობის მეთაურის მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი, რაც ნაკარნახევია სერიოზული შეშფოთებით შორეულ აღმოსავლეთში დაძაბულობის გამწვავების გამო, რომელიც საშიშია მშვიდობის საქმისათვის და შექმნილია ამერიკის მმართველი წრეების აგრესიული მოქმედების შედეგად ტაივანის სრუტის რაიონში, ყველგან საზოგადოებრიობამ მიიჩნია საბჭოთა კავშირის ახალ დიდმნიშვნელოვან ინიციატივად მის თანმიმდევრულ ბრძოლაში მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

სხვანაირად გამოეხმაურნენ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს ისინი, ვინც პირდაპირ პასუხს აგებს ტაივანის რაიონში შექმნილი მდგომარეობისათვის, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობის შენარჩუნების საქმეს. საკდესისათვის ცნობილი გახდა, რომ 21 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ მოსკოვში ამერიკის მთავრობის დავალებით დაუბრუნა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი, გაგზავნილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვის, როგორც, ვითომდა, მიუღებელი.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ასეთი ნაბიჯი ძნელია შეფასდეს სხვანაირად, თუ არა როგორც იმის დადასტურება, რომ ამერიკის ხელმძღვანელ წრეებს არა სურთ ყური დაუგდონ გონების ხმას, როგორც იმის ახალი მაგალითი, თუ რამდენ ნაკლებ ანგარიშს უწევენ ეს წრეები ხალხების მოთხოვნას ბოლო მოეღოს იარაღის ჟღარუნის პოლიტიკას, რასაც მსოფლიო მიჰყავს ომის ზღვარამდე, და დადგნენ გადაუჭრელი საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგების გზას. ეს პასუხი ერთხელ კიდევ დასტურებს, რომ აღნიშნული წრეების წარმომადგენლებს „სიმართლე თვალს ჩხვლეტს“.

რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, იგი კვლავაც აქტიურად და თანმიმდევრულად დაიცავს მშვიდობის შენარჩუნების საქმეს და ილაპარაკებს სიმართლეს, მიუხედავად იმისა, მოსწონთ თუ არა ეს იმათ, ვისი პოლიტიკაც მუდამ ქმნის სერიოზული საერთაშორისო კონფლიქტების კერებს დედამიწის ხან ერთ, ხან მეორე რაიონში.

# „თვითმარქვია ქანდარმი“

## უილიამ ფოსტერი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ

**ნიუ-იორკი,** 20 სექტემბერი. (საკდესი). შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის საპატიო თავმჯდომარე უილიამ ფოსტერი სტატიაში, რომელიც გამოაქვეყნა ყოველკვირეულმა გაზეთმა „უორკერმა“, აცხადებს, რომ „შეერთებული შტატების როლი როგორც თვითმარქვია ქანდარმისა, რომელიც თავს აგდგას სახალხო ჩინეთს, სწრაფად უახლოვდება დასასრულს“. „ეს ხელყოფა წარმოადგენს ერთი ქვეყნის წინააღმდეგ მეორე ქვეყნის აგრესიის ყველაზე სასაძულო შემთხვევას, რომელიც კი ყოფილა თანამედროვე მსოფლიოში.

ამერიკის აგრესია ჩინეთის წინააღმდეგ, განაგრძობს ფოსტერი, ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით, რომელთაგან ყოველი მიმართულება „ამერიკის იმპერიალიზმის მხრივ ჩინელი ხალხის ღირსებისა და კეთილდღეობის სერიოზული ხელყოფაა“.

სტატიის ავტორი ჩამოთვლის შეერთებული შტატების შემდეგ დანაშაულებრივ მოქმედებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ:

„1. შეერთებულმა შტატებმა იკისრეს საზღვრების დაწესება ჩინეთის რევოლუციისათვის, რაც შეურაცხმყოფელია ჩინელი ხალხისათვის. უოლ-სტრიტი ქედმაღლურად ითვისებს უფლებას განუცხადოს ჩინელ ხალხს, რომ განწირული ჩან კაი-ში მისი კანონიერი მმართველია და რომ შეერთებული შტატები უკრძალავენ ჩინელ ხალხს გააგდონ ეს ბანდიტი ფორმოზიდან. ეს ისეთი თავსმოხვევაა, რომელსაც ამერიკელი ხალხი ერთ წუთსაც ვერ მოითმენდა, მდგომარეობა რომ პირიქით ყოფილიყო, მაგრამ უოლ-სტრიტს მიაჩნია, რომ შეუძლია დაუსჯელად მისცეს თავის თავს ნება ასე შეურაცხყოს ჩინელი ხალხი.

2. შეერთებულმა შტატებმა ფორმოზის სრუტეში განალაგეს თავიანთი მე-7 ფლოტი, რათა შეინარჩუნონ შეიარაღებული ფორტები უშუალოდ ჩინეთის ქალაქების ნავსადგურებში. ქედმაღლობის ეს უახლესი გამოვლინება იმას უდრის, რომ უცხოეთის სახელმწიფომ სცადოს დაიცვას სტატენ-აილენდი (კუნძული ნიუ-იორკის ნავსადგურში. — რედ.) შეერთებული შტატების წინააღმდეგ...

3. შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს, რომ ისინი არ ცნობენ ჩინელი ერის კანონიერ მთავრობას, მიუხედავად იმისა, რომ მას მხარს უჭერს ხალხის უდიდესი უმრავლესობა. უფრო მეტიც, მათ აიძულეს თავიანთი მრავალი მარიონეტი მთავრობა, რომლებიც მეტწილად მათ კმაყოფაზე არიან, ცდილიყვნენ განეხორციელებინათ ასეთივე პოლიტიკური უკანონობა...

4. შეერთებულმა შტატებმა ეკონომიური ბოიკოტი გამოუცხადეს სახალხო ჩინეთს. ბრძოლის ასეთი საშუალების გამოყენების თავხედური მიზანი ის არის, რომ ძირი გამოუთხაროს ჩინეთის მრეწველობას და საერთოდ შეაფერხოს ამ ქვეყნის პროგრესი. მსოფლიოში ასეთი ბოიკოტის არსებობა აიხსნება, უმთავრესად, ამერიკელ იმპერიალისტთა მაქინაციებით,

5. შეერთებულმა შტატებმა უტიფრად გადაწყვიტეს უგულებელყონ სანაპირო წყლების 12-მილიანი საზღვარი, რომელიც სახალხო ჩინეთმა დაწესა, და გაგზავნონ თავიანთი ხომალდები სადაც მოესურვებათ. ეს ჩინეთის სუვერენული უფლებების აღმამფოთებელი დარღვევაა.

6. შეერთებულ შტატებს პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმისათვის, რომ სახალხო ჩინეთი არ არის დაშვებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ამოქმედებენ რა ერთ-ორ ათეულ მათდამი დაქვემდებარებულ მარიონეტულ მთავრობას, შეერთებულ შტატებს არაერთხელ მიუციათ ხმა იმის წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ადგილი მისცემოდა სახალხო ჩინეთს. მაშასადამე, უსაზღვრო თავხედობით შეერთებული შტატები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ დედამიწის მოსახლეობის მეოთხედზე მეტს არ უნდა ჰქონდეს წარმომადგენლობა ამ მსოფლიო ორგანიზაციაში.

7. შეერთებულმა შტატებმა ჩინეთს შეუქმნეს ატომური ომის საფრთხე. მათ შექმნეს რაღაც ისეთი რამ, რაც, როგორც მათ იმედი აქვთ, იქნება კედელი ჩინეთის გარშემო, და იმუქრებიან სისხლში ჩაახშონ ეს ქვეყანა, თუ იგი გაბედავს თავისი ეროვნული უფლებების დამტკიცებას, რომელსაც აშკარად არღვევენ შეერთებული შტატები და მათი აგენტები“.

მაგრამ, აცხადებს ფოსტერი, „ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ბოიკოტის ეს საზიზღარი სისტემა, რომელიც შეერთებულმა შტატებმა დაუწესეს ჩინეთის წინააღმდეგ, უნდა დაინგრეს. ჩინელები უკვე დიდი ხანია ანგრევენ მას ნაწილ-ნაწილად“.

აღნიშნავს რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაგალითო წარმატებებს ეკონომიურ და სხვა დარგებში, ფოსტერი აცხადებს, რომ „სისულელეზე მეტია ვიფიქროთ, რომ ასეთი ხალხი, რომელმაც შეიგნო თავისი ახალი ძალა, დაემორჩილება ამერიკის იმპერიალიზმის ახლანდელ თვითნებურ ზეგავლენას. მთელი მსოფლიო სულ უფრო მეტად ხედავს ახალი ჩინეთის რეალურ სინამდვილეს, და ეიზენჰაუერ-დალესის პოლიტიკა, რომელიც გამოიხატება ცდით აიძულონ თავიანთ სუფალი ჩინეთი დაუბრუნდეს მონობას, საეჭვოა სადმე შეხვდეს თანაგრძნობას“ „შეერთებულ შტატებში“, — განაგრძობს ფოსტერი, — ახლა ბევრი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე გმობს ეიზენჰაუერისა და დალესის პოლიტიკას კუმეინსა და მაძუს მიმართ“.

„ვიდრე ახლანდელი დაძაბულობა, ბოლოს და ბოლოს, მოწესრიგდება და შეიქმნება მშვიდობიანი თანაარსებობის პირობები, — წერს დასასრულ ფოსტერი,— საჭიროა ბოლო მოეღოს შექმნილ უაზრო დიპლომატიურ არევ-დარევას. შეერთებულმა შტატებმა და სხვა ქვეყნებმა მთლიანად უნდა ცნონ ჩინეთის სახალხო მთავრობა; ეკონომიური ბლოკადა სანგვეუეთში უნდა იქნეს გადაგდებული; შეერთებულმა შტატებმა ხელები უნდა მოაშორონ ჩინეთს; და ჩინეთს უნდა მიეცეს მისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში. ეს ღონისძიებანი აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული მშვიდობისათვის. აშკარა უგუნურებაა იმის ცდა, რომ უკუაგდონ ჩინელი ხალხი სისტემატური სიცრუის, ინტრიგების, ატომური ომის მუქარისა და სუვერენიტეტის შეზღუდვის ისეთი აღმაშფოთებელი დაგროვების საშუალებით, როგორსაც ახლა უხეშად ახორციელებს ამერიკის იმპერიალიზმი ჩინეთის ნაპირებთან.

# შეწყდეს ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა ჩინეთის საშინაო საქმეებში!

## უცხოეთის გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის წერილზე ეიზენჰაუერისადმი

### ჩინეთი

**პეკინი**, 20 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს ჩინელმა რადიომსმენელებმა დიდი აღფრთოვანებით შეიტყეს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 19 სექტემბერს ახალი წერილი გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერს.

საღამოს გაზეთმა „ბეიჯინ ვანბაომ“ დღეს გამოაქვეყნა წერილის დაწვრილებითი შინაარსი დიდრონი სათაურებით: „ხრუშჩოვმა ერთხელ კიდევ გააფრთხილა ეიზენჰაუერი: ამერიკის ჯარები გაყვანილ უნდა იქნენ ტაივანიდან. საბჭოთა კავშირი სავსებით უჭერს მხარს ჩინეთს“. გაზეთმა გამოჰყო წერილის ის ადგილები, სადაც ნათქვამია, რომ თუ ამერიკელი ჯარისკაცები ახლა არ დატოვებენ ტაივანს, სახალხო ჩინეთს სხვა გზა არ დარჩება, გარდა იმისა, რომ გარეკოს მისდამი მტრული შეიარაღებული ძალები საკუთარი ტერიტორიიდან და რომ საბჭოთა კავშირი მთლიანად ჩინეთის ხალხისა და მთავრობის მხარეზეა.

შემდეგ გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ატომური შანტაჟი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ ვერ დააშინებს ვერც საბჭოთა კავშირს, ვერც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. თუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე მოახდინეს ასეთი თავდასხმა, აგრესორი დაუყოვნებლივ მიიღებს ჯეროვან პასუხს იმავე საშუალებებით.

### ჩეხოსლოვაკია

**პრაღა**. 20 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის გამო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი, რომელიც შეიცავს წინადადებას ერთობლივ ღონისძიებათა შესახებ უეცარი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად.

ემყარება რა ჩეხოსლოვაკიის მთელი ხალხის სურვილს, ნათქვამია განცხადებაში, ჩეხოსლოვაკიის მთავრობა ყოველი ღონისძიებით ისწრაფვის ხელი შეუწყოს ახლანდელი საერთაშორისო ურთიერთობის გადაუდებელი პრობლემების გადაჭრას მოლაპარაკების გზით. ამიტომ იგი მუდამ იღებდა აქტიურ მონაწილეობას ყველა კამპანიისა და ღონისძიების განხორციელებაში, რომელთა მიზანია ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილება და მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება.

საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა მზად არის გაგზავნოს თავისი ექსპერტები თათბირზე უეცარი თავდასხმის შესაძლებლობათა თავიდან აცილების ღონისძიების საკითხის შესახებ.

რაც შეეხება თვით თათბირს, ჩეხოსლოვაკიის მთავრობა იმავე აზრისაა, როგორც სსრ კავშირის მთავრობა, სახელდობრ, რომ ექსპერტთა თათბირს პრაქტიკული შედეგების მოტანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ მათი მუშაობა მიზნად დაისახავს პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავებას უეცარი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად, ამასთან გარკვეულ ღონისძიებათა შემუშავებას განიარაღების დარგში.

ექსპერტთა მუშაობის დადებითი შედეგები ხელს შეუწყობდა ამ საკითხების წარმატებით განხილვას უმაღლესი დონის თათბირზე, რაც ძვირფასი წვლილი იქნებოდა სახელმწიფოთა შორის ნდობის განახლების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

### ბულგარეთი

**სოფია**, 20 სექტემბერი. (საკდესი). ბულგარეთის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა სრული ტექსტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილისა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი. გაზეთებმა სათაურებში მოიყვანეს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარევას, რომ შანტაჟი და მუქარა სახალხო ჩინეთის მიმართ ვერ მიაღწევს მიზანს და რომ საბჭოთა კავშირი მთლიანად შეასრულებს ჩინეთის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებს.

### უნგრეთი

**ბუდაპეშტი**, 20 სექტემბერი. (საკდესი). უნგრეთის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა დაწვრილებითი შინაარსი ნ. ს. ხრუშჩოვის წერილისა პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი.

ხრუშჩოვი, წერს გაზეთი „მადიარ ნემეტი“ მოკლე კომენტარში წერილისადმი, კატეგორიულად აფრთხილებს ამერიკის მთავრობას საფრთხის შესახებ, რომელსაც შეიცავს ამერიკის პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში.

### ამერიკის შეერთებული შტატები

**ნიუ-იორკი**, 20 სექტემბერი. (საკდესი). ნიუ-იორკის ყველა გაზეთი დღეს პირველ გვერდზე ათავსებს ცნობას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი. ამ ცნობების სათაურებში ხაზგასმულია სერიოზულობა წერილში მოყვანილი გაფრთხილებისა აგრესიის წინააღმდეგ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, გარდა ცნობისა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის შესახებ, ბეჭდავს მის სრულ ტექსტს.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობაში განსაკუთრებით აღნიშნულია ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის ის ადგილი, სადაც გამოთქმულია მხარდაჭერა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამართლიანი პოზიციისა თავისი ტერიტორიების — ტაივანისა და სხვათა მიმართ.

ახალ წერილში, წერს კორესპონდენტი, „ხრუშჩოვი აცხადებს, რომ ფორმოზა ეკუთვნის წითელ ჩინეთს. თუ შეერთებული შტატები არ დატოვებენ ნაციონალისტურ ჩინეთს და არ გაიყვანენ ამერიკის შეიარაღებულ ძალებს, „სახალხო ჩინეთს, — აცხადებს ხრუშჩოვი, — სხვა გზა არ დარჩება, გარდა იმისა, რომ გარეკოს მისდამი მტრული შეიარაღებული ძალები თავისი საკუთარი ტერიტორიიდან“...

კორესპონდენტი იუწყება, რომ პრეზიდენტ ეიზენჰაუერს, რომელიც ამჟამად ნიუ-პორტშია, „კომენტარი არ გაუკეთებია“ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილისათვის და რომ „სახელმწიფო დეპარტამენტი აგრეთვე თავს იკავებს კომენტარებისაგან, სანამ სრული ტექსტი დაწვრილებით არ იქნება შესწავლილი 20 სექტემბერს“.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, სახელმწიფო მდივანმა დალესმა უარი თქვა კომენტარი გაეკეთებინა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილისათვის და ის დაიმოწმა, რომ წერილის ტექსტი ჯერ არ არის მიღებული ვაშინგტონში.

### საფრანგეთი

**პარიზი**, 22 სექტემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტომ დღეს გამოაქვეყნა დაწვრილებითი შინაარსი ნ. ს. ხრუშჩოვის წერილისა დ. ეიზენჰაუერისადმი. სააგენტოს მოსკოველ კორესპონდენტს მოჰყავს მოსკოვში მყოფ დასავლეთელ მეთვალყურეთა აზრი. ისინი ხაზს უსვამენ, რომ წერილში გამოთქმულია ჩინეთ-ამერიკის ვარშავის მოლაპარაკების წარმატებითი შედეგის იმედი და შეიცავს მოწოდებას შეერთებული შტატებისადმი, რომ განახორციელონ სამშვიდობო პოლიტიკა, აგრეთვე ხაზგასმულია, რომ საჭიროა მიენიჭოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას თავისი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

მეთვალყურეთა აზრით, განაგრძობს კორესპონდენტი, ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის „ძირითადი აზრი“ ის არის, რომ „სახალხო ჩინეთზე თავდასხმა იგივეა, რაც საბჭოთა კავშირზე თავდასხმა“ და ამერიკას ეძლევა „გაფრთხილება, რომ მიყენებულ იქნება სათანადო დარტყმა“.

## აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოს მუდმივი სამდივნოს მიმართვა

**კაირო**, 20 სექტემბერი (საკდესი). აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოს მუდმივმა სამდივნომ გუშინ გამოაქვეყნა მიმართვა — ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის შექმნის გამო, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

„დღეს მებრძოლმა ალჟირელმა ხალხმა გამოაცხადა ალჟირის პირველი თავისუფალი მთავრობის შექმნის შესახებ. აფრიკისა და აზიის ხალხები სავსებით უჭერენ მხარს ამ ახალ მთავრობას და აცხადებენ, რომ მისი შექმნა არის კაიროს კონფერენციის რეზოლუციის დადასტურება, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული იმ მიზნით, რომ დახმარებოდა ალჟირელ ხალხს დამოუკიდებლობის მოპოვებაში. დადგა დრო, რომ ფრანგი იმპერიალისტები დაემორჩილონ ისტორიის გარდუვალ მსვლელობას და დაუყოვნებლივ გაიყვანონ ალჟირიდან მაოკუპირებელი ჯარები 800 ათასი კაცის რაოდენობით.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოს მუდმივი სამდივნო მოუწოდებს აზიისა და აფრიკის ხალხებს აქტიურად დაუჭირონ მხარი ამ თავისუფალ ახალ მთავრობას და მოსთხოვონ თავიანთ მთავრობებს დაუყოვნებლივ ცნონ ეს ახალი მთავრობა, რომელიც ნამდვილად არის ალჟირელი ხალხის წარმომადგენელი. იგი მოუწოდებს მათ გამოიყენონ თავიანთი გავლენა საერთაშორისო დარგში, რათა მიაღწიონ იმას, რომ სხვა ქვეყნებმა ცნონ ალჟირის ეს კანონიერი მთავრობა“.

## მაროკომ, ჯუნისმა, იემენმა და ერაყმა ცნეს ალჟირის რესპუბლიკა

**პარიზი**, 20 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო რაბატიდან იუწყება, მაროკოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანცელარიის წარმომადგენელმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა შემდეგი კომუნიკე: „მისი უდიდებულესობის მთავრობამ გამოაცხადა, რომ მისი უდიდებულესობის თავმჯდომარეობით გამართულ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილება ცნოს ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა“.

**პარიზი**, 20 სექტემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტომ ტუნისიდან გადასცა ტუნისის ინფორმაციის საკითხთა სტატს-სამდივნოს კომუნიკეს შემდეგი ტექსტი: „ტუნისის მთავრობამ ოფიციალურად ცნო ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა, რომელსაც მეთაურობს ფერჰატ აბასი.

ეს ცნობა, როგორც აღნიშნავენ ტუნისის ოფიციალური წრეები, შეესაბამება ჩრდილოეთ აფრიკის სამ ქვეყანას შორის სოლიდარობის პრინციპებს და მათ მისწრაფებას ხელი შეუწყონ მშვიდობის დამყარებას ამ რაიონში.

ეს სრულიადაც არ ნიშნავს, ტუნისი უარს ამბობს თავის ტრადიციულ პოლიტიკაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს ურთიერთ პატივისცემა და თავისუფალი თანამშრომლობა ჩრდილოეთ აფრიკის არაბთა ქვეყნებსა და საფრანგეთს შორის“.

**კაირო**, 20 სექტემბერი. (საკდესი). როგორც კაიროს რადიო იუწყება, იემენმა ცნო ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა.

**კაირო**, 19 სექტემბერი. (საკდესი). როგორც განაცხადა ერაყის რესპუბლიკის ელჩმა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ას-სამარაიმ, ერაყის რესპუბლიკამ ცნო ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა.

## ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილის განცხადება

**პარიზი**, 21 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტე-დიმანშმა“ გამოაქვეყნა ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და თავდაცვის მინისტრის კრიმ ბელკასემის განცხადება, რომელიც მან გუშინ გიუეთა ტუნისის გაზეთ „ალ-ამალს“.

„როგორც პირველ ნაბიჯს, — განაცხადა მან, — მთავრობა მოწოდებით მიმართავს საფრანგეთს დაიწყოს მოლაპარაკება.

თუ საფრანგეთმა შეუპოვრობა გამოიჩინა, ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას პოლიტიკურ და სამხედრო დარგებში. ჩვენ ომს ვაწარმოებთ არა ომისათვის, არამედ დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის, ალჟირელი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის“.

კრიმ ბელკასემმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალჟირელი ხალხი „უგულებელყოფს რეფერენდუმს“, იგი არასწორად მიაჩნია, და განაცხადა, რომ ალჟირის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელობამ „გადაწყვიტა გახსნას საფრანგეთში მეორე ფრონტი იმ მიზნით, რომ გაღვიძოს საფრანგეთის საზოგადოებრიობა და სერიოზულად ჩაფიქროს ალჟირის დრამაზე“. „ჩვენი მიზანი, — ხაზი გაუსვა მან, — აგრეთვე ის არის, რომ დარტყმა მივაყენოთ საფრანგეთის ეკონომიკას, და არა ფრანგ ხალხს, რასაც მოწმობს მოქმედება, რომელსაც დღემდე ვახორციელებთ“.

## ალჟირელი პოეტები თბილისში

ერთი წლის წინათ, საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში პირველად, რომში მოხდა ჩვენი და იტალიელი პოეტების შემოქმედებითი შეხვედრა. რომში შეხვედრა ამ ორი ქვეყნის პოეტების ნაყოფიერი შემოქმედებითი თანამეგობრობის დასაბამი იყო.

ამ შეხვედრის შემდეგ საბჭოთა კავშირში იტალიელი პოეტების ნაწარმოებთა მრავალი ახალი თარგმანი გამოქვეყნდა. ცოტა ხანში რუსულ ენაზე გამოიცემა კრებული — „თანამედროვე იტალიური პოეზია“.

მიმდინარე წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ერთი ჯგუფი იტალიელი პოეტებისა, რომელებმაც უკვე გამართეს შეხვედრები მოსკოველ და ლენინგრადელ პოეტებთან.

კვირას, 21 სექტემბერს, თბილისში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირში მყოფი იტალიელი პოეტები — სერჯიო სოლმი, ველსო მუჩი, ინაციო ბუტიტა, დომენიკო კადორეზი, ვსეტერიო სტრადა, დორა მუჩი. იტალიელ სტუმრებს აეროდრომზე ქართველმა მწერლებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს და მეცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს. ამავე საღამოს სტუმრები საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში დაესწრნენ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტს. კონცერტის დაწყების წინ სტუმრებს სიტყვით მიმართა ანსამბლის ხელმძღვანელმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ილიკო სუხიშვილმა, რომელმაც ილაპარაკა ქართული ანსამბლის და იტალიელი მაყურებლის სრული ურთიერთგაგების შესახებ, იტალიელებს ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა გულითადობისა და სტუმართმოყვარეობისათვის. დარბაზში მყოფი მაყურებლები იტალიელ სტუმრებს ფეხზე ადგომით მქუხარე ტაშით მიესალმნენ.

გუშინ იტალიელი პოეტები იყვნენ მცხეთაში, დაათვალიერეს მცხეთისა და მისი შემოგარენის ღირსშესანიშნაობანი. საღამოს დაესწრნენ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში სოფოკლეს ტრაგედიას „ოიდიპოს მეფე“.

დღეს საღამოს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში გაიმართება ლიტერატურული საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ იტალიელი და ქართველი პოეტები.

* * *

**სურათზე:** ქართველ და იტალიელ მწერალთა ჯგუფი. სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ) ბ. ჟღენტი, დ. მუჩი, ვ. მუჩი, ი. ბუტიტა, გ. ლეონიძე, ს. სოლმი, დგანან — მ. ქვლივიძე, დ. კადორეზი, ვ. სტრადა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში

### „ა“ კლასი

კვირას, 21 სექტემბერს, თბილისი „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მ[illegible] რიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობ[illegible] დნენ ადგილობრივი „დინამოსა“ დ[illegible] სტალინოს „შაბტიორის“ ფეხბურთელ[illegible] თა კოლექტივები. თბილისელებმა შეხ[illegible] ვედრა ძლიერად ჩაატარეს და მოიგ[illegible] ანგარიშით 2:0.

### „ბ“ კლასი

გრძელდება შეჯიბრება ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე „ბ“ კლასი გუნდებს შორის. გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე თამაშობდნენ IV ზონის გუნდები სკკო (თბილისი) და „ლ[illegible] კომოტივი“ (ქუთაისი). ანგარიშით 1:[illegible] გაიმარჯვეს არმიელმა ფეხბურთელებმ[illegible]

## ბათუმის საკავშირო ნახევარფინალი

**ბათუმი.** (საკ. კორ.). საკავშირო ნახ[illegible] ვარფინალი ჭადრაკში დასასრულს უ[illegible] ლოდება. განსაკუთრებით დაძაბულ[illegible] იყო მეათე ტური.

ტიხომიროვამ წააგო კაუშლიატესთან[illegible] კარტანაიტე დამარცხდა ვიტკოვსკაია[illegible] თან. გაფრინდაშვილის პარტია შაღუტა[illegible] თან და ჩაიკოვსკაიასი სტრანდსტრემთ[illegible] გადაიდო.

ძლიერად ჩაატარა პარტიის საფინალ[illegible] ნაწილი სპორტის ოსტატმა ვოიცეკმა, რ[illegible] მელმაც გაიმარჯვა სუსლინასთან. [illegible] სვლაში ლიაპუნოვამ წააგო ვენდრო[illegible] თან. ლებედევა-დაუბერტეს პარტია ყ[illegible] მით დამთავრდა.

20 სექტემბერს გადადებული პარტ[illegible] ბის გათამაშებისას გაფრინდაშვილმა [illegible] ამარცხა შაღუტა, ვოიცეკი დანებდა ე[illegible] დროვას, ვიტკოვსკაიამ მოუგო კაუშლ[illegible] იტეს. ჩაიკოვსკაია-სტრანდსტრემის პ[illegible] ტია ყაიმით დამთავრდა.

10 ტურის შემდეგ ტურნირს ლ[illegible] რობს ნონა გაფრინდაშვილი — 7,5 [illegible] ლა, 7-7 ქულა აქვთ ჩაიკოვსკაიასა [illegible] ტიხომიროვას.

რედაქტორი პ. რატიანი.

## ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

**მონტევიდეო**, 20 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ მონტევიდეოში მუშაობა დაიწყო ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. პლენუმმა განიხილა საკითხი: კომპარტიის წინასაარჩევნო კამპანია და კანდიდატთა დასახელება ამა წლის ნოემბერში პარლამენტის არჩევნებში.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა კომპარტიის პირველმა მდივანმა რ. არისმენდიმ. მომხსენებელმა აღნიშნა კომპარტიის გავლენის გაძლიერება მშრომელ მასებში და პარტიის წევრთა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა და მოუწოდა პარტიას გაშალოს დიდი პროპაგანდისტული და ორგანიზაციული მუშაობა ამომრჩეველთა შორის.

დღეს პლენუმი განაგრძობს მუშაობას.

## თეთრი სახლის განცხადება

**ნიუ-იორკი**, 20 სექტემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ნიუ-პორტიდან (როდაილენდის შტატი), სადაც ამჟამად იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, იუწყება, რომ თეთრმა სახლმა „თავი შეიკავა კომენტარი გაეკეთებინა“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის უკანასკნელი წერილისათვის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი ტაივანის რაიონში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებზე ჰეგერტიმ, ნათქვამია ცნობაში, განაცხადა, რომ ეიზენჰაუერმა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წერილის მოკლე შინაარსი და ამჟამად „თეთრ სახლს“ არაფერი აქვს სათქმელი ამ წერილის გამო“. წერილის სრული ტექსტის თარგმნა და შესწავლა მიმდინარეობს, დასძინა მან.

## ჩინეთის მთავრობის მე-8 სერიოზული გაფრთხილება

**პეკინი**, 20 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს ამერიკის 5 სამხედრო ხომალდი შეიჭრა ჩინეთის ტერიტორიულ წყლებში ფუძიანის პროვინციის რაიონში. ერთ-ერთი ხომალდი ღრმად შევიდა ჩინეთის საშინაო წყლებში მაძუდაოსა და ბაიციუანდაოს კუნძულების რაიონში. ამასთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების 4 ავიაგამანადგურებელი „ფ-100“ შეიჭრა ჩინეთის საჰაერო სივრცეში ძინმინდაოსა და სიამინის რაიონებში.

ამასთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს დავალებული აქვს განაცხადოს: ამერიკის სამხედრო ხომალდების შეჭრა ჩინეთის ტერიტორიულ წყლებში და თვითმფრინავების შეჭრა საჰაერო სივრცეში ახალი საშიში განვითარებაა შეერთებული შტატების სერიოზული სამხედრო პროვოკაციებისა ჩინეთის წინააღმდეგ მას შემდეგ, რაც განახლდა ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკება ელჩების დონეზე. ამასთან დაკავშირებით ჩინეთის მთავრობა აკეთებს მერვე სერიოზულ გაფრთხილებას.

## კიჯცბიუჯელში დაიხურა აზომისჯ მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენცია

**კიტცბიუჯელი**. 20 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ აქ დაიხურა ატომისტ მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მოწვეული იყო ატომური საუკუნის საშიშროებათა და იმ მოქმედებათა განსახილველად, რომლებიც მეცნიერებს შეუძლიათ განახორციელონ ამ საშიშროებათა აღსაკვეთად.

კონფერენციის მონაწილეებმა შეიმუშავეს და მოიწონეს განცხადება, რომელშიც ყურადღება ექცევა იმას, რომ სამხედრო მიზნებით ატომური ენერგიის გამოყენება უდიდეს საფრთხეს შეუქმნიდა კაცობრიობას, ხოლო გამალებული შეიარაღება აძლიერებს საერთაშორისო დაძაბულობას. შეგნებული აქვთ რა პასუხისმგებლობა ხალხთა წინაშე, მეცნიერებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ მთელი ძალებით აწარმოონ ბრძოლა საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც კაცობრიობას ემუქრება.

კონფერენციის მონაწილენი გამოთქვამენ იმედს, რომ მალე დაიდება საერთაშორისო შეთანხმება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემის შექმნის შესახებ, რაც პირველი ნაბიჯი იქნება გამალებული შეიარაღების შეწყვეტის გზაზე.

განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მეცნიერებმა უნდა განუმარტონ თავიანთ ხალხებს ყველა შესაძლებლობანი და საშიშროებანი, რომლებსაც ატომური ენერგია შეიცავს. მათ არ უნდა დაუშვან, რომ მეცნიერება ემსახურებოდეს ომს და უნდა მოითხოვონ შეიქმნას პირობები მტკიცე და მყარი მშვიდობისათვის.

## საბჭოთა სპეციალისტებმა დახმარება გაუწიეს ინდოეთს ნავთობის აღმოჩენაში

**დელი**, 21 სექტემბერი. (საკდესი). ინდოეთის პრესა იუწყება, რომ ჯამბეის რაიონში (ბომბეის შტატი) აღმოაჩინეს ნავთობის დიდი საბადო, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ინდოეთის ეკონომიკისათვის. პრესა ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა სპეციალისტების როლს ნავთობის აღმოჩენაში. ნავთობის ბურღვა ამ რაიონში საბჭოთა მოწყობილობის გამოყენებით წარმოებს.

## გამარჯვებული მთამსვლელები თბილისში დაბრუნდნენ

გუშინ თბილისში დაბრუნდა საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის ექსპედიცია, რომელმაც დაიპყრო პამირის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი — ლენინის სახელობის პიკი (7.134 მ. ზღვის დონიდან). მწვერვალის შტურმში მონაწილეობდნენ ჯ. მეძმარიაშვილი (მოიერიშე ჯგუფის ხელმძღვანელი), ლ. ახვლედიანი, ზ. ახვლედიანი, რ. ხაზარაძე, თ. კუხიანიძე, გ. აბაშიძე, შ. მირიანაშვილი, ო. ხაზარაძე, ი. ყაველაშვილი, შ. ჩართოლანი, ნ. ნადირაშვილი, ს. ხაბეიშვილი, პ. გვარლიანი, გ. მაჭარაშვილი. მათ შორის პამირის ექსპედიციაში პირველად იღებდნენ მონაწილეობას ნ. ნადირაშვილი, ს. ხაბეიშვილი, შ. ჩართოლანი და პ. გვარლიანი.

როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელმა საქართველოს ალპური კლუბის დირექტორმა ა. ივანიშვილმა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, ქართველი სპორტსმენები უკვე 1954 წლიდან აწარმოებენ ლაშქრობას პამირის მწვერვალებზე. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მთამსვლელებმა დაიპყრეს 15 მწვერვალი, რომელთა სიმაღლე 6.000 მეტრს უდრის, ხოლო ორისა— 7.000 მეტრზე მეტს. ყველა ეს ასვლა მზადებაა ჰიმალაის ერთ-ერთი 8.000-მეტრიანი სიმაღლის მწვერვალის დასაპყრობად, რომელზეც ლაშქრობა ალპინისტებს განზრახული აქვთ მოაწყონ მომავალ წელს.

წლევანდელი ექსპედიციის ძირითადი ამოცანაც სწორედ ამ დიდი სასიმაღლო ასვლებისათვის მზადება იყო. მთელი თვენახევრის განმავლობაში ქართველი ალპინისტები ლენინის პიკის მისადგომებთან აწარმოებდნენ საწვრთნელ ვარჯიშს, რაც შემდეგ 3 სექტემბერს დაგვირგვინეს ლენინის სახელობის პიკის დაპყრობით.

უნდა აღინიშნოს, რომ პამირზე იმყოფებოდა აგრეთვე ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ალპინისტთა დიდი ნაკრები ჯგუფი, რომელიც აგრეთვე აწარმოებდა საწვრთნელ ვარჯიშებს. მათ 7 სექტემბერს მოახდინეს ლენინის სახელობის პიკზე ასვლა. საბჭოთა კავშირის ალპინისტთა ნაკრებ ჯგუფში იმყოფებოდა ორი ქართველი —სპორტის ოსტატები მ. ხერგიანი და ი. კახიანი.

ორივე ექსპედიციის— საქართველოსა და ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ექსპედიციის წევრები დაჯილდოებულ იქნენ უზბეკეთის სსრ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ ლენინის პიკზე ამსვლელთათვის დადგენილი ვერცხლის ჟეტონითა და სიგელებით. ჯილდოები მათ გადაეცა ქ. ოშის საზოგადოებრიობის მიერ მოწყობილ შეხვედრაზე.

ქართველი მთამსვლელები გამარჯვებული დაბრუნდნენ თბილისში. ისინი მზად არიან ახალი გამარჯვებებით ასახელონ დედა სამშობლო.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე კარსტოლოგიის სპეციალობით — 1 საშტატო ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა შემოიტანონ დირექციაში შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ფოტოსურათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი, სამეცნიერო ხარისხის მინიჭების საბუთის ასლი, სამეცნიერო წოდების მინიჭების საბუთის ასლი, სამეცნიერო შრომების სია, სამსახურებრივი და პარტიული დახასიათებები, სამეცნიერო შრომების ერცელი დახასიათება, შედგენილი სათანადო დარგის წამყვანი სპეციალისტის მიერ, ცნობები შეთავსებით მუშაობის ნებართვის შესახებ. ასლები დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიალურად. ყველა საბუთი წარმოდგენილ უნდა იქნას ორ-ორ ცალად.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, შ. ჩიტაძის ქ. № 8, ტელ. № 3-37-02.

**საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია**

**საზაფხულო თეატრი**

(პლეხანოვის პრსპ. № 123).

24 სექტემბერს

**საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის**

**კონცერტი**

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის

**ნინო რამიშვილის**

და

სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის

**ილიკო სუხიშვილის**

მხატვრული ხელმძღვანელობით და მონაწილეობით.

კონცერტის დაწყებამდე იტალიაში და ჩეხოსლოვაკიაში საგასტროლოდ მოგზაურობის შთაბეჭდილებების შესახებ მოხსენებით გამოვა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. სუხიშვილი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. დარჩენილი ბილეთები იყიდება სალაროში.

**თბილისის „დინამოს“ სტადიონი**

ბრძოლის ქ. № 2

(ტელ. № 3-21-62, 3-26-17)

23 სექტემბერს

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ბ“ კლასის გუნდებს შორის

**„შირაკ“ (ლენინაკანი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი)**

დასაწყისი 5 საათზე.

**თბილისის თეატრებში**

ოპერისა და ბალეტის — ივან სუსანინი (მოსკოვის აკადემიური დიდი თეატრის გასტროლები), რუსთაველის სახელობის — ანგელა, გრიბოედოვის სახელობის — ღვთის მოშიში მართალი, ფილარმონიის საზაფხულო — ჯაზ-ორკესტრი „მხიარული ახალგაზრდობა“

**კინოთეატრებში**

ოქტომბერი, ამირანი (საზამთრო), ისანი (საზამთრო), სპარტაკი, თბილისელებანოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი — სიყვარულის დაფდაფები, ამირანი (საზაფხულო), 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), საქართველო (წითელი დარბაზი), ცენტრალური კულტურის სახლი (საზაფხულო) — ლეგენდა სიყვარულზე, ფილარმ